



# ლიტერატურული მესხეთი

№7 (211)  
ივლისი  
2016 წელი  
ფასი 40 თეთრი

გამოცემის მეთვრამეტე წელი

“-LITERATURULI MESKHETI“

“-ЛИТЕРАТУРУЛИ МЕСХЕТИ“

„რაცა ღმერთსა არა სწადდეს, არა საქმე არ იქმნების, მზისა შუქთა ვერ-მჭვრეტელი ია ხმების, ვარდი ქცნების, თვალთა ტურფა საჭვრეტელი უცხოდ რადმე ეშვენების: მე ვით გავძლო უმისობა, ან სიკოცხლე ვით მეთნების“-!  
რუსთაველი

## რუსთაველის ხმა ყოველ სრულმეტყველებაში

### ირაკლი აბაშიძე

– რამ გადმოგხვენა ამ მწველ აღმურში, რამ აგიყარა მესხეთს კარავი?! მტრობამ?  
მტრად ვინმე გყავდა მამულში?  
რუსთაველის ხმა:  
– არა, არავინ.

– მაშ, იქნებ შურმა, შენგვარ მოყმეთა შურს არ ძალუდდა შუქი შეეცნო; შურს, შურს შეეძლო შენი მოკვეთა...  
რუსთაველის ხმა:  
– შურს არ შეეძლო.

– იქნებ ღალატმა, მოულოდნელმა ღალატმა, შავმა და მუხანათმა გდევნა, განამა, შორს გადმოგდევნა...

რუსთაველის ხმა:  
– არა ღალატმა.

– მაშ, ცბიერებამ?  
ჭირმა, რომელსაც რაც ძღვეს თვით გმირის გულს და ღონესაც...  
რუსთაველის ხმა:  
– არც ცბიერებამ.

– მაშ, სიძულვილმა?  
უსინანულო მოთხრის, მოსპობის, აღგვის წყურვილმა?  
მაშ, სიძულვილმა?  
ვაი, მამულო!..  
რუსთაველის ხმა:  
– არც სიძულვილმა.

– მაშ, რამ?  
შენს ფრენას ფრთა რამ მოკვეცა,



რა წვამ აშკარამ, რა წვამ ფარულმა?  
რამ დაგამარცხა, რამ გადმოგხვენა?!  
– რამ?  
სიყვარულმა.

## ბანტხადება

### ლიტერატურული კონკურსი დაფუძნებულია პრემიები

#### რუსთაველიანობა:

ბრან-პრი – 3 000 ლარი – სამცხე-ჯავახეთის მუნიციპალიტეტებისა (ახალციხის, ადიგენის, ახალქალაქის, ბორჯომის, ნინოწმინდის) და ახალციხის მერიისაგან.

#### პოეზია:

სპეციალური პრემია – 1500 ლარი – ასპინძის მუნიციპალიტეტისაგან;

პირველი პრემია – 800 ლარი – ახალციხის სამედიცინო ცენტრ „უნიმედი-სამცხე“-სა და სადაზღვევო კომპანია „იმედი-ს“-ისაგან.

ორი მემორა პრემია – 500-500 ლარი – კახური ტრადიციული მეღვინეობის კომპანიისა და ივ.ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მორფოლოგიის ინსტიტუტისაგან;

მესამე პრემია – 400-400 ლარი – კერძო პირების ლიანა მანჩაშვილისა და ელდარ ალიევისაგან.

ასევე დაწესებულია ერთი სპეციალური პრემია – 500 ლარი ნომინაციაში – რუსთაველის თემატიკაზე – სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტისაგან.

გაზრდევებულებს პრემიები გადაეცემათ შოთა რუსთაველის იუბილეზე ვარძიასში.

საკონკურსო ლექსები უნდა გამოიგზავნოს მხოლოდ ნაბეჭდი ფორმით (არაუმეტეს 5 ლექსისა) ხელნაწერი არ მიიღება.

ნომინაციაში – რუსთაველოლოგია – საკონკურსო მასალა იგზავნება ნაბეჭდი ფორმით და დისკზე ჩანერილი ელექტრონული ვერსიით (12-იანი აკად ნუსხური შრიფტით), მხოლოდ გამოუქვეყნებელი სამეცნიერო შრომა (მონოგრაფია).

საკონკურსო ლექსების მიღების ბოლო ვადაა 2016 წლის 1 სექტემბერი, ხოლო სამეცნიერო შრომის – 30 ნოემბერი და იგზავნება შემდეგ მისამართზე:

0500, ასპინძის მუნიციპალიტეტი, დაბა ასპინძა, თამარის ქ.3.

გაზეთ „ლიტერატურული მესხეთის“- რედაქცია. საკონტაქტო ტელ. 5 99 97 95 24



გაზეთ „ლიტერატურული მესხეთის“- რედაქცია და სამცხე-ჯავახეთის სამხარეო ადმინისტრაცია შოთა რუსთაველის 850 წლის საიუბილეოდ აცხადებენ ლიტერატურულ კონკურსს პოეზიასა და რუსთაველოლოგიაში.

საკონკურსო მასალები მიიღება დევიზით: ერთი კონვერტით იგზავნება საკონკურსო მასალა და დევიზი, მეორე კონვერტით – ავტორის გვარი, სახელი, მისამართი, საკონტაქტო ტელეფონი, ლექსების ჩამონათვალი და დევიზი (კონვერტზე არ უნდა მიეთითოს ავტორის ვინაობა).

კონკურსში მონაწილეობის მიღება შეუძლია საქართველოსა და უცხოეთში მცხოვრებ ყველა მოქალაქეს, გარდა „ლიტერატურული მესხეთის“-ს თანამშრომლებისა, სარედაქციო საბჭოს და ჟიურის წევრთა ოჯახის წევრებისა, ასევე ბოლო სამი წლის განმავლობაში „შოთაობის“- პრემიით დაჯილდოებული პირებისა.

### გუგული ელიზბარაშვილი-ჯაფარიძისა

შუა ზამთარში, მაცდურმა, თბილმა, მზიანმა ამინდებმა, უდროოდ გამოაღვიძეს თბილისა და შინდის კვირები. დაიბრუნენ და გასაშლელად მოემზადნენ – თბილისა დაასწრო ყველას და ჩურჩხელელებით კონწილა ყვავილები გამოილო. საფუტკრეში, მზის გულზე ჩარიგებული ფერად-ფერადი, გამთბარი სკეპიდან, თითო-ოროლა ფუტკარიც გამოფრენილიყო და თბილის სურნელოვან ყვავილების ნექტარს დაწვევდნენ.

ნაადრევი გამოდგა მათი გამოღვიძება, მოულოდნელად ისევ აცივდა და სუსხიანმა ამინდებმა ერთდროულად გადაუარეს არემარეს. ატრუსულმა თბილის ჯერ კიდევ ნორჩმა, გაუფრეულებულმა ყვავილებმა, უსიცოცხლოდ იწყეს კონწილა.

სკაში აწრიალებული ფუტკრები ბედს მიენდნენ და კვლავ იმედინად დაელოდნენ გაზაფხულის დადგომას. დედა ფუტკრის გარემო შემოკრებილები, თავს მაინც ბედნიერად გრძნობდნენ, – ერთმანეთში გულლიად ფუსფუსებდნენ და დრო გაჰყავდათ.

საგაზაფხულოდ ოჯახის უფროსმა რამდენიმე რჩევა მისცა პატარებს. ამას და ულამაზესმა პრინცესა ქალბატონმა ასე დაიწყო: – ჩემო შვილებო, ბუნების საოცარო არსებებო, დიდი ნიჭიერებით დაჯილდოებულბო, ჩვენ ერთ-ერთი განუმეორებელი, სამაგალითო არსებანი ვართ, ჩვენში არსებული ცნობილი თუ უხილავი ფანტასტიკით მსოფლიო მეცნიერება უფრო და უფრო ინტერესდება, ჩვენ განუსაზღვრელად ბევრს ვსრომობთ, ძალზე რთულ პირობებში გვიხდება არსებობა, წინ მრავალი ხიფათის დაძლევა გვინევს, რათა „პური ჩვენი არსობისა“ მოვიპოვოთ და ცხოვრების ნორმალური პირობები შევიქმნათ, შრომის გარეშე კი ნორმალური ცხოვრების მონყობა შეუძლებელია. ამავე დროს, აუცილებელია ცოდვის, გამოცდების შექნა, სათანადო დისციპლინის დამყარება. ეს პირობები თუ არ გვექნება, ჯანსაღ თაობასაც ვერ აღვზრდით. უპირველესად, ძლიერი ოჯახის შესაქმნელად, გადაუდებლად გჭირდება უმბატონო დონის მშენებლები, საკუთარი კერიის დამცველები, მკურნალები, აღმზრდელები, გამომგონებლები...

რაც შეეხება ქურდობას, ტაციობას, მკვლელობას, შურს, მტრობას, გაუტანლობას, ეს ჩვენს ნესებს სრულიად ეწინააღმდეგება, თუმცა, ასეთი გამონაკლისებიც ხდება ხოლმე. ჩვენი არსებობა საუკუნეებს ითვისებს, რადგან საუკეთესოები, თანაც, ფიზიკურად ლამაზები ვართ, ათასი მტერი გვესხმის თავს, მოსვენებას არ გვაძლევს, მიუხედავად ამისა, მტრის ჯინაზე, რაც შეიძლება შეუდრეკელი უნდა ვიყოთ, რომ ვერანაირმა მომხდურმა და ორგულმა ვერ შეძლოს ჩვენი ჯიშისა და გენის მოსპობა...

გაზაფხულის პირველი დღეებიც მალე დადგა. მზიანი, ნყნარი ამინდი გამოვიდა. ფრინველების ხალისიანმა ჭიკჭიკმა არემარე გამოაფხილა, დამზრალმა მინამ მწვანე სამო-

სი ჩაიცვა, ნელ-ნელა ამოინვერნენ ფერად-ფერადი იანქმელები და გაკვირვებულნი აქეთ-იქით იყურებოდნენ, თითქოს ვიდაცას ეძებენ, თითქოს ცდილობენ, ვიდაცების ყურადღების მიქცევას, რომ ქვეყანას ამცნონ მათი მოვლენა ამქვეყნად.

თავდაპირველად, განსაკუთრებით ისევ მოფუსფუსე, ახალგაზრდა ფუტკრების ყურადღებას იქცევდნენ და, ისინიც, თავს ველეზინ ახლადგამოღვიძებულ, ცით მოვლენილ, პანანინა არსებებს, რომლებიც თთქოს ეუბნებოდნენ – მოდიო, ჩვენთან, თქვენც გაიხარეთ და ჩვენც გაგვახარეთო.

მართლაც, ახლადგამოზამთრებული, თითო-ოროლა მოზუზუნე ფუტკარი, ყვავილებს



თავს დასტრიალებს და მათ ალერსში დამტვერილები კმაცოფილები ბრუნდებიან თავიანთ ოჯახებში, სადაც ახლადგამოჩვილი პატარები ელოდებიან და მოფუსფუსე მზარეულები ყვავილების ნექტარს უგემრიელესი ნარევით კვებავენ მათ, რომლებიც ნელ-ნელა იზრდებიან და ძლიერდებიან.

პატარა ბარტყების გამოჩეკვას დიდი სიხარულითა და სიყვარულით ხედება ოჯახი, ყველაზე მეტად კი – დედა ფუტკარი.

ის ამასობის თავისი მრავალმედიანობით, გამრავლებით ჯანსაღი უნარით, ფრთხილად, ღინჯად გადაადგილდება უჯრიდან უჯრაზე და საგულდაგულოდ ამომშებს პატარების ჯანმრთელობას, მათ ყოველდღიურ ყოფაცხოვრებას.

გამუდმებით შრომობენ მუშა ფუტკრები... ღრუბლები ნელ-ნელა წამოიშალნენ, საცაა გაავადრდება, ფუტკრებს არ ეშლებათ ამინდის ცვლადობა, ჩქარობენ, რათა ნექტრით დატვირთულნი დროულად დაბრუნდნენ ოჯახში და მძიმედ დაზურგულები ეცემიან სკის აივანზე...

უფუქნა ნვიმამ სიცოცხლე, სიხალისე, ფერების სილამაზე შემება მინდვრის ყვავილებს, თითქოს პირი დაიბანესო, უფრო მეტად მიმზიდველები გახდნენ. მზის სხივებმა გააბრწყინეს იქაურობა და სასიამოვნო სურნელი მოაფრქვიეს ირგვლივ.

დილაუთენია, კვლავ ფრენა-ფრენით მი-

აშურეს იმ უტკბილეს ყვავილებს, რომლებიც ასე ძალუდად ელოდნენ მათ სტუმრობას, მზის ამოსვლას მუშა ფუტკრები თავიანთ მაცოცხლებელ და მასაზრდოებელ, სიფრთხილად ფერადი ფურცლებით გარემორტყმულნი, გამთბარ გულებში ჩახვეულები შეხვდნენ, მღეროდნენ, ცეკვავდნენ, თთქოს ყვავილების ჰაეროვან ფერად-ფერად ფურცლებსაც სიო ანანავებდა და ეალერსებოდა.

შრომასა და გარჯაში გაილია ზაფხულის მცხუნვარე დღეები... ფუტკრების უმრავლესობა კმაცოფილი დარჩა გამრავლებითა და შემოსავლიანობით... ბუნებამაც მალე იცვალა სახე, ყვავილებმაც დაამთავრეს თავიანთი სეზონი, მუშა ფუტკრებმა კი უმისამართოდ ინ-



ყვს ბორიალი საფუტკრეში.

ამ სკის მოპირდაპირედ, მაღალ კლდეზე მოკალათებულმა კრახანებმა საიდუმლო სერობა გამართეს და გადაწყვიტეს თავს დასხმოდნენ ამ პატარა, ჯერ კიდევ ახლად დაფრთიანებული ფუტკრების ოჯახს და მათი ავლადობა ხელთ ეგდოთ. ამ დროს კი, პანანინა ფუტკრები, მხოლოდ თავიანთი ცხოვრების ელემენტარული პირობების გაუმჯობესებაზე ფიქრობდნენ – გაემრავლებით, ცოტა სულს მოვიტყვათ, სამეზობლოში ჩვენს თავს წარვაგდენ, გავეიცნობენ, ხალხში გავერვიოთ, გავაკვირებთ, რომ ჩვენც ვართ, ჩვენც ვარსებობთ და რალაცას წარმოვადგენთ. მომავალ წელს კიდევ უფრო მეტს ვიპრობებთ, თუ ბუნებამაც ხელი შეგვიწყობ, ბედნიერ ცხოვრებას ვენევიოთ.

ამ იმედით შეპყრულებდნენ ღმერთს უხუცესი ფუტკრები: – მართალია ბევრი განსაცდელის წინაშე არაერთხელ აღმოვჩენილვართ, მაგრამ თავი გაგვიტანია და გადავრჩენილვართ, სიმწარეც ბევრი გვინახავს და სიხარულიც, მაგრამ თავი მაინც გაგვიტანია.

ოჯახის უფროსმა ძილის წინ პირჯვარი გადასწერა და ღმერთს შეავედრა თავისი პანანინა ოჯახი, ახლადდაფრთიანებული ფუტკრები და ტკბილი ძილი უსურვა მოახლოებულ ცივ ზამთარში.

როგორც კი ირიჟრაჟა, უშველებელი კლდდან, ფუტკრების მიმართულებით, რამ-

დენიმე ათეულმა კრახანამ იერიში მიიტანა პატარა სკის პანანინა მესალვრე-დამცველებზე და იქვე, თვალისდახმახმეში გაანადგურეს. აურზაურის ხმაზე ფეხზე დადგა მთელი ჯალაბობა, საყვარელი ოჯახის დასაცავად გამოვიდნენ მებრძოლო მუშა ფუტკრები და, მიუხედავად თავდაშხმელთა დიდი უპირატესობისა, მაინც გმირულად დიაცვეს თავიანთი ოჯახის სიმნიდედ და დაუპატიჟებელი სტუმრების თავხედობა უმალ ალაგმეს. კრახანების პირველი, წარუმატებელი თავდასხმის ამბავი სწრაფად გავრცელდა თავდასხმელთა ვებერთელა ბანაკში. ახლა მთელი სისასტიკით და ველური ალტკინებით მიიტანეს იერიში მოფუსფუსე, შრომისმოყვარე ფუტკრების პანანინა ოჯახზე და დაიწყო დიდაცივად დიდ-პატარის ხოცვა-ჟლეტა. რამდენიმე დღე გასტანა ბართლომეს ღამემ, შავი ღრუბელი ჩამონვა მათ თავზე.

თავდასხმელებმა კარგად იცოდნენ, რომ ძალა მათ ხელში იყო და ვერანც, უბატონოდ, ხმას ვერ გასცემდ...-

გაუსადლოსი მდგომარეობა შეიქმნა, სისხლით მოირწყო სილამაზითა და მშვენიერებით განტყმული პატარა სკის მისადგომები. განწირულთა ხმა ზარავდა იქაურობას, ირგვლივ ფრთამოტეხილი, თავგანჯიხილი ფუტკრები ერთმანეთში ირეოდნენ, სასონარკვეილები მწარედ მოსთქვამდნენ, მაგრამ მშველელი და გულშემატკივარი არსაიდან არ ჩანდა. ერთ-ერთი უჯრიდან ცვილის საფარი გაიხა, გამოსახეად მომზადებულ ბარტყს თავი ამოეყო და გაკვირვებული კითხულობდა – რა ხდებოდა მის ოჯახში. ამ დროს მისკენ გაქანებულმა პირსისხლიანმა კრახანა-ჯალათმა მოუსწრაფა სიცოცხლე პანინას, რომელმაც, დღის სინათლე, ის-ის იყო იხილა და მისი რაობა ვერც კი შეიგრძნო.

გამარჯვებულმა თავდასხმელმა კრახანებმა ააოხრეს და გადაბუგეს პატარა სკის მთელი ავლა-დიდება, დიდ-პატარა არსებები და თვითკმაცოფილები თავცალნენ იქაურობას. ბოლოს დაზურგულ თავდასხმელებს სიხარბემ მაინც სძლია და პატარა სკის შესასვლელის შორიახლოს მოიკალათეს, იქნებ კიდევ რამეს გამოვრჩეთო.

ნაომარ ველზე უბატრონოდ დარჩენილმა ფუტკრებმა თავები მძიმედ დახარეს და მტრის თავხედობის დანახვაც კი აღარ სურდათ, თუმცა, შიგადაშიგ, ერთმანეთს გადახედავდნენ და გულს უმაგრებდნენ, – ღმერთი პატრონი, ბოლომდე მაინც არ გავეწირავსო.

ვინ იცის, ეს მერამდენედ შეეხიდნენ დაქორილ-დავარდილი ფუტკრები ერთმანეთს და წელი ნელ-ნელა წამოსწიეს, ზოგმა წყალღემელმა ნექტარის მიანოდა, ზოგი გაპარტახებულ საფუტკრის აღდგენაზე წამოეშველა, ზოგმა სახლ-კარი დაუთხოვნა, დაქორლებს მალამო შეაშველა და დაიიშვედა, – თქვენს გვერდით გვიგულეთ, ქვეყანას შევეყრით და ამის შემდეგ თქვენს თავს აღარავის არ დავაჩვენებთო.

იმედიც კარგი საქონელიაო და დღემდე იმედინად შემოცილებენ წყალღემელ, კეთილმოსურნელ ლომებზე ფუტკრებს წყალღემელი, ომგადახდილი, პანანინა ფუტკრები.

## თავდასხმა

## ამბავი ხუშიანებისა

## გატეგონარი ტყუილი

ერთ სოფელში ორი კუზიანი ცხოვრობდა. ყოველ შახვედრაზე ბედს უჩიოდნენ, კუზებით რომ დაეჯილდოებინა ბუნებას. ერთხელაც ისევ შეხვდნენ ერთმანეთს, იმუსაიფეს. უცებ ერთმა მათგანმა შეამჩნია, რომ მეორეს კუზი აღარ ჰქონდა.

– მითხარი, ღვთის გულისათვის, კუზი როგორ მოიშორე? მეც დიდი სიამოვნებით გავთავისუფლებდი მისგან.

– მე კი გეტყვი, მაგრამ შენ არაფერი გამოგივა, იმიტომ, რომ ჯოჯი ხარ, ყოველთვის იმას აკეთებ, რაც საჭიროდ მიგჩინია. თავი ყველაზე ჭკვიანი გგონია!

– ამიტომაც ისე მოვიტყევი, როგორც მეტყვი. ჩემი სიჯოჯოსაც მოგერევი. მალე მითხარი, რა უნდა გავაკეთო.

– კარგი, – დათანხმდა ყოფილი კუზიანი, – შაბათს ან კვირას, გვერ, იმ ხიდან მიდი, იმიტომ, რომ ხიდქვეშა მხოლოდ ამ დღეებში გამოდის ის ხალხი, ვინც კუზი მომპოვრა. თავზე ტომარას ჩამოგაცევენ, ტყეში წავიყვანენ, ორისამი დღე გაივლი და ქორწილს გადაიხდიან. ყველა, ვინც იქ იქნება, ცეკვას წამოიწყებს და რალაც შელოცვის მაგვარს ნაბუტბუტებს. შენც ზუსტად იმავს გააკეთებ, რასაც ისინი მოიმოქმედებენ და შელოცვასაც სიტყვა-სიტყვით გაიმეორებ, რაც არ უნდა თქვან, სიმართლაც რომ არ იყოს, მაინც გაიმეორე, ეს ძალიან მნიშვნელოვანია. როცა მოქორწილებენ, ისევ იმ ადგილზე დაგაბრუნებენ, საიდანაც წავიყვანეს და ნახავ, რომ კუზი აღარ გექნება.

– სულ ეს არის? მუნჯ ნაკლები რითი ვარ, ყველაფერს ზუსტად შეგანსრულებ. ყველაფერი სწორად მითხარი, ხომ არაფერი დაგვიწყნებია?

– ყველაფერი ზუსტად აღვინერე, – უთხრა ყოფილმა კუზიანმა.

კუზიანი შაბათ დღეს დაელოდა და ხიდთან მივიდა. ერთხანს იდგა და უცებ ხალხი დაინახა. ისინი მიუახლოვდნენ და თავზე ტომარა ჩამოაცვეს.

– კუზიანს არ მოუტყევეხვებოვარ, ჯერჯერობით ყველაფერი ისე მიდის, როგორც მითხრა, – გაიფიქრა მან.

ტყეში შევიდნენ. ტომარა მოხსნეს და ხეზე მიაბეს.

– სიცრუე არ უთქვამს კუზიანს, ღმერთმა ქნას, ყველაფერი შემდეგმაც ისე ზუსტად ასრულდეს, როგორც მან თქვა, – ფიქრობს კუზიანი.

რამდენიმე დღის შემდეგ ქორწილი გაიმართა. ხელ-ფეხი გაუსხნეს და მოცეკვავათა ფერხულში ჩააბეს. ხალხი ცეკვავს და თან შელოცვას წარმოსთქვამს, ისიც მათთან ერთად ცეკვავს და შელოცვას იმეორებს. უცებ ყურები ცქციტა, რომ ამ შელოცვის აზრი გაეგო და გაეოიონ: „დღეს ოთხშაბათია, ხვალ კი ხუთშაბათია“. დაფიქრდა, გონებაში დღეები გადათვალა და უთხრა: „არ არის მართალი, დღეს სამშაბათია, ხვალ კი – ოთხშაბათია“.

ყურით არ ათხოვეს, განუწყვეტილი იმეორებენ: „დღეს ოთხშაბათია, ხვალ – ხუთშაბათია“.

კუზიანმა თავისთვის დაასკვნა: ეტყობა, ეშლებათ, მაგრამ მე ხომ ზუსტად ვიცი, რომ დღეს სამშაბათია, ხვალ კი ოთხშაბათია. ამათ ვერ გადავარწმუნებ, ამიტომ რაც უნდათ, ისა თქვან, მე კი სინამდვილეში როგორც არის, ისე ვიტყვი და აბუტბუტდა: – „დღეს სამშაბათია, ხვალ – ხუთშაბათია“!

არც არავის შეუჩერებია, არც შეუსწორე-

ბიათ – თთქოს ასეც უნდა მომხდარიყო. გამთენიისას ხესთან მივიდნენ. რალაც მრგვალი საგანი აიღეს, ერთ-ერთი მათგანი კუზიანს მიუახლოვდა და უთხრა:

– „ეს შენმა ძმაცაცა დაგვიტოვა, რაკი შენ ასე ჭკვიანი ხარ, წაიღე და ესეც შენი იყოს!“ – უთხრა და „ეცეც“ ზურგზე წამოჰკიდა. ისევ ტომარა ჩამოაცვეს თავზე და საიდანაც წამოიყვანეს, ისევ იქ დააბრუნეს. ტომარა მოხსნეს და, როგორც გამოჩნდნენ, ისევ გაუჩინარდნენ.

კაცმა ზურგი მოიხიჯა და რას ხედავს, ერთი კუზის ნაცვლად, ორი კუზი არ გასჩენია? როცა ყოფილ კუზიანს შეხვდა, გაცეცხლებულმა უთხრა:

– „შენ, ეტყობა, არასწორად ამიხსენი. მიგხვდი, რომ არ გინდოდა კუზი მეც მომეშორებინა: ალბათ, იცოდი, შენ კუზს სხვას თუ არ წამოჰკიდებდნენ, შეიძლებოდა უკან დამბრუნებოდა, ამიტომ იყავი ასეთი კეთილი, დამაბნედე, რომ კუზს მოვიშორებდი, პირიქით კი გამოვიდა, ახლა, თთქოს ჩემი არ მეყოფოდა, შენიც დამემატა.“

– არაფერი დამიმალავს, ყველაფერი ზუსტად ავიხსენი, ახლა კი შენ მომიყვიე, თავს რაც გადაგხბა.

ორკუზა კუზიანმა მოეყოლა დაიწყო, როცა ახსენა სიტყვები: „დღეს სამშაბათია, ხვალ ოთხშაბათია“, ყოფილმა კუზიანმა ჰკითხა:

– ისინი რას ამბობდნენ?

– დღეს ოთხშაბათია, ხვალ ხუთშაბათიაო.

– აი, ხომ ხედავ, დამწამავე თვითონვე ყოფილხარ, რატომ არ გაიმეორე ის, რასაც ისინი ამბობდნენ?

– იმიტომ, რომ იმ დღეს სამშაბათი იყო, მეორე დღეს კი – ოთხშაბათი!

ერთხელ ფადიშაჰმა, რომელიც მშვენიერ გუნება-განწყობაზე ბრძანდებოდა, შიკრიკებს უბრძანა, ხალხისთვის ეცნობებინათ: ყველას, ვინ ისეთ ტყუილს მოიკონებს, სიმართლისგან რომ ვერ გაავარჩევ, გულზეხედ დავაჯილდოვებო. იოლად გამოდიდრებს მოყვარულნი, მატყუარები, თავგადასავლების მაძიებელნი, სასახლეს მიაწყდნენ. ფადიშაჰმა ყველას დაუმტკიცა, რომ მათი მონაყოლი წმინდა წყლის ტყუილი იყო. მომსვლელებში ერთი ზურგზე კოკანამოკიდებულ კაციც ერია. – მოწყალეო მბრძანებელი, მრავალი წლის წინ, როცა სამეფო გასაჭირში ჩავარდა, მამათქვენმა მამაჩემისაგან ერთი კოკა ოქრო ისესხა და დაბრუნების პირობაც მისცა. მამაჩემმა, სიკვდილის წინ, მაცნობა ეს ამბავი, ახლა ხევადავ, ჩვენი სახელმწიფო გაფურჩქნის ხანაშია და ვალის დასაბრუნებლად გვახელთ. აი, ეს კოკა, პირთამდე ოქროთი ამივსეთ. – ეს გაუგონარი ტყუილია! – წამოიძახა ფადიშაჰმა. – თუკი ეს ტყუილია, მამინ ჯილდო მეკუთვნის, – მიუგო კაცმა. – არა, ეს ტყუილი არ არის, – გადათქვა ფადიშაჰმა. – მამინ, ვალი დამიბრუნეთ! – სიტყვა მოუჭრა კაცმა. თურქულიდან რუსულად თარგმნა ნაზირა მარხაძემ, რუსულიდან – ასმათი ფიცხლაური-ფანჯინამა

### ჰასტანგ პელიჩიკა

მე ჭაჭიკართან  
 მელის ბებია  
 და ალაგურში  
 ნითელი ვაშლი.  
 რაც მინერია,  
 რა სათქმელია?!  
 რამდენიცა ვთქვი,  
 ვრჩები კვლავ ვალში!  
 დღეები მოჩანს ნამებულების, –  
 დღეები ბრძოლის,  
 შრომის და ოხვრის,  
 აკვნები – სისხლში  
 დარწმუნებით,  
 გაუტეხელი ჯიშის და  
 მოდგმის!  
 იყო, რაც იყო,  
 ენით უთქმელი  
 ყველა ღრმულთან და  
 ყველა ქვაბულთან.....  
 ო, რამდენია დაუნერელი.....  
 დაითვლი, –  
 რასაც ბოლო არ უჩანს?!

სდუმს საფარა,  
 სდუმს ვარძია....  
 სდუმს ზარზმა და  
 აწყური.....  
 ჩვენი დიდი  
 წინაპრების,  
 ჩვენი ერის წარსული!  
 ფიქრი ბურავს  
 ხომის თაღებს,  
 თმოგვის ციხის  
 სანახებს,  
 ხანძთა ჯვარცმულ  
 კარებს ალბს,  
 გულს რომ  
 ასე ახარებს!  
 რაცა ვთქვი და  
 გავიხსენე,  
 განა მხოლოდ  
 ეს არის?!  
 იმდენი გვაქვს  
 ღვთის ტაძარი,  
 რომ გინდოდეს...  
 ვერ დათვლი!

### მე ვარძიასთან მელის ზენბია

სოფელ გოგაშენის გადასახედიდან მასპინძელ-  
 მა ვარძიისკენ მიმანიშნა: – ხედავ? ვარძიის ძი-  
 რას, მტკვრის ორთავე მხარეს, ბაღებია.  
 – ვხედავ-მეთქი, – არ დავაყოფენ პასუხი.  
 – დინების მარჯვენა მხარეს ჭაჭიკარს ეძახიან,  
 მარცხენას – ალაგურს. ალაგურში საუკეთესო  
 ბაღი ბებიაშენსა და პაპაშენს ეკუთვნოდაო, –  
 მითხრა. არცერთი არ მახსოვს, – ვუპასუხე და  
 ცხონება შევუთვალე მათ.

თუმც არ მინახავს ცხადში ბებია,  
 პაპა გიორგი, – ადრე ნასული,  
 ორივე ერთად დროის მსხვერპლია  
 ... 918-ის, – ჩვენი წარსულის!  
 მესიზმრა: – ქალაქ ვარძიაში ვარ,  
 ჭაჭიკარსა და ალაგურს ვსტუმრობ...  
 ხან ცას გავყურებ,  
 მოქუფრულს და ხან  
 დროს ვითვლი ჩემთვის



უსიტყვოდ, უხმოდ.  
 დავჯექ, დავწერე,  
 რაც სიზმრად ვნახე,  
 რაც მანვალეზდა,  
 ფიქრებში ნასულს,  
 ვესიტყვებოდი ნანახ სანახებს,  
 ვეფერებოდი ვაზს, –  
 რქებგადანწულს!  
 მე ვარძიასთან მელის ბებია  
 და ალაგურში – ნითელი ვაშლი,  
 ვარძიაში რომ თიხის ქვევრია,  
 მას ალაგურის სურნელი ასდის!  
 იქ, რომ ტალღებში ელავს კალმახი,  
 ის პაპაჩემზე ზღაპარს მიყვება...  
 ვესტუმრები და იმ ქვევრს  
 თავს ახდის,  
 შემდეგ მშობლიურ ხმებად იღვრება!  
 მე აქ მტკვრის პირას,  
 ვარძიის ახლოს,  
 ფეხშიშველას რომ მითამაშია,  
 ამ ქარაფებზე, ხშირად ბებიას  
 ხელჩაკიდებულს ვუტარებოვარ.  
 და ვარძიაზე, რაც აქ მსმენია,  
 თავს რომ მახსენებს, – ეს ის ხმებია!  
 და ახლა, როცა, ჩვენ ორთაშორის,  
 ჩამდგარა წლები, –  
 ათეულები,  
 მე ერთი ფიქრი ამდევნებია,  
 ფიქრის საგანი მიცქერის შორით!  
 და ყოველივე, რაც კი მსმენია,  
 იმ გმირ წინაპართ  
 ნამოღვანარზე,  
 ალბათ, მეტყვოდა ხშირად ბებია, –  
 მოამბე ქვეყნის წარსულ ავ-კარგზე!  
 – „დაუგდე ყური  
 ვარძიის ფურცლებს, –  
 ვერ წაიკითხავ უმართლესს  
 სხვაგან!  
 ამ თხრილებს გული იმგვარად უძგერს,  
 როგორც ალავერდს, თმოგვსა და  
 ბაგრატს“!  
 მე ვარძიასთან მელის ბებია  
 და ალაგურში ნითელი ვაშლი,  
 რაც კი რამ მითქვამს, –  
 ვუძღვნი ბებიას,  
 მაგრამ მე მასთან  
 ვრჩები კვლავ ვალში!

### რა გზებით გვივლია

დააფასეთ ქართველებო,  
 ჯავახეთის ჯავახი...  
 ჯიშით, მოდგმით,  
 ენით, რწმენით,  
 მრწამსითა და ადათით,  
 რომ გაუძლო ათასეულ  
 წელთა რისხვას, ბობოქარს...  
 ჰკლავდნენ, სწვავდნენ,  
 გლეჯდნენ, ხრავდნენ,  
 ჰყრიდნენ, სცვლიდნენ და...  
 მაინც,  
 ვერ შეცვალეს, ვერ გარდაქმნეს,  
 მუქართადაც, ვერას გზით!  
 ართმევდნენ და ვერ წაართვეს  
 ყველაფერზე ძვირფასი...  
 სადაც ცხოვრობს,  
 რითაც ცოცხლობს, –  
 საფიცარი მთა-ველით,  
 ქრისტეს მცნებით, წმინდა ჯვართით  
 და ყველაფრით, რაცა ვთქვი,  
 და რაც არ ვთქვი, იმითაც: –  
 ბრძოლით, შრომით, სისხლით, ოფლით,  
 იმითაც და ამითაც.....

ვინც რომ შესძლო  
 და რწმენისთვის ყველაფერი გასწირა,  
 ენა და ცხელი სისხლი ამ მიწაზე აწვიმა...  
 სამი რამის საზღაურად  
 ხმალს იქნედა გმირულად...  
 კიდევ ჰქონდა უცხო, რაღაც, –  
 უხილავი თილისმა,  
 რაც სხვებისგან განარჩევდა,  
 ამითაც და იმითაც...  
 ამის შემდეგ ჯავახობით  
 ნუ ხართ ჩემი მძრახველი...  
 ვინც მინდოდა, იმად დავრჩი,  
 სალი კლდით და მთა-ხევით.

საქართველოს დარაჯად დგას,  
 საიმედოდ, როგორც ძველად,  
 ქარი ქრის და ვერას აკლებს  
 გაჭრილია მთა და ველად.

### შენს სურათს ვხატავ

მზემ მიმატოვა, გადაიკარგა,  
 ვხედავ ნისლიან მთა-ველს,  
 ყველამ გამრიყა და მიმატოვა,  
 და ვერ ვიმშრალე თვალებს.  
  
 სიცივემ მაინც დამიმარტოვა,  
 ძვალსა და რბილში ატანს,



### პარა ხუსიპილი ერთი პატარა ქალი ვარ

ნისლი ვარ ჩამონოლილი,  
 მთებს რომ ეხვევა ფიქრებად,  
 ლურჯი ცის დილის ნათება,  
 მხოლოდ შენთვის რომ ინთება.

მაისის ციციქა კვირტი ვარ,  
 სითბო რომ აყვავილებს,  
 ნამი ვარ, – დილის ცვარ-ნამი,  
 პირს რომ ბანს ფერად ყვავილებს.

მდინარის წელი ჩქოროლა ვარ,  
 მწვანე ტყის ფიქრი შრილა,  
 ერთი პატარა ქალი ვარ,  
 სამშობლოს მზე მწვავს ბრდღვიალა.

### ძველი რხე

მაღლა ზევით, ცის საყრდენად  
 მოჩანს ციხე ძველისძველი,  
 ნისლი ისე მოხვევია,  
 როგორც დედის თბილი ხელი.

მტრებისაგან უძლეველი,  
 დგას ამაყად, ქედუხრელი,  
 ჩვენი ქვეყნის ისტორიის  
 და წარსულის დიდი მცველი.

გაინელება ეს შემოდგომაც  
 და წვიმაც დიდხანს გასტანს.

ველარ ვიშუშებ გულში იარებს, –  
 ველარც გინამებ ხატად,  
 ძველ მოგონებებს ფერი ეცვლებათ,  
 მე კი ისევ შენ გხატავ.

### გიორგი ალაღაშვილი

#### უკვდავ იმედით

დღეს აღტაცებით მოვქრივარ შენსკენ...  
 ჩემში აყვავდნენ დღეს ყვავილები  
 და რაც არ უნდა მოხდეს ამქვეყნად  
 ღვთის ნებთადაც არ დავიღვეი.  
 დღეს სიხარულით ვეშვები ზღვაში  
 მისი ტალღები მიტაცებს ღრმად მე.  
 ვით მეოცნებე – სულ მუდამ გზაში...  
 უკვდავ იმედით გიპოვი სადმე.

#### აფამიანის ზედი

ერთი გაქვს, არც კი ჯერდები.  
 ბევრი გაქვს – თითქოს დუნდები,  
 დრო გადის, კაცი ბერდები,  
 უკან კი ვერ დაბრუნდები.  
 კაცი ასეა, – ცხოვრების  
 დაღონებული დარდია,  
 ლხინი მოკლე აქვს სანუთროს  
 დღეები უცებ გარბიან.  
 წარსული უკან დაგრჩება,  
 კარგი რამ ცუდი გგონია,  
 რადგან ხამი ხარ ცხოვრების,  
 სხვისი ვერ მოგინონია.  
 სხვა თუ ცუდია, გიხარის,  
 რადგან მის ფონზე კარგდები,  
 მაგრამ არ იცი, უგნურო,  
 რა დიდ ცოდვაში ვარდები.  
 ასეა წუთისოფელი, –  
 ცხოვრება წარმავალია,  
 რომ გაჩნდი, მაინც მოკვდები,  
 სანუთრო ცოდვა-ბრაღია.

ყოველი დილა მზიანი  
 კაცისთვის საჩუქარია.  
 თუ ვერას არგებ ქვეყანას –  
 ცოდვა ხარ, შესაბრაღია.  
 არას დავჯერდე, ხამი ვარ?  
 ის ერთიც მყოფნის წყლულებად,  
 არავინ იცის ამქვეყნად, –  
 ვის სად უბიძგებს ცდუნება!  
 ცოტა გაქვს? – იმას დასჯერდი,  
 ბევრი გაქვს? – იცი, დუნდები.  
 ცხოვრება გადის, ბერდები...  
 უკან კი ვერ დაბრუნდები...

# კიდევე რას ნიშნავს „ხმდა“ როსთავედით?

„ვეფხისტყაოსანში“ ნახშირი არქაული სიტყვა „ხმს“, (ჯამს) და „ხმდა“ ყველა გამოცემის ლექსიკონში ასეა განმარტებული: „საჭიროა“, „უნდა“, „ეკუთვნის“, „ჯობდა“, „ჯობს“, „საჭირო იყო“, „ერჩევნა“, „ჯერ არს“ და ა.შ. პოემის ორ ადგილას, სტრიქონების შინაარსიდან გამომდინარე, „ხმდა“-ს მნიშვნელობა, ჩვენი ღრმა რწმენით, სხვაგვარი უნდა იყოს!

ნესტანის დავალებით ტარიელმა ხვარაზმშას შვილი კარავში მიპარვით მოკლა. ასეთი იყო „დავალება“: „დიდ“, „დიად“, ესე იგი, ბევრ სისხლს ნუ დაღვრი, მათ ლაშქარს ნუ ამოუღებ, ცოდევა, სასიძოს მოკვლა კი „მართალი სამართალი“ იქნებაო.

ამ უკანასკნელს, თავის მხრივ, არ ეთანხმება ფილოლოგიის მეცნიერებთა დოქტორი მურმან თავდომეილი და დასკვნის სახით ამბობს: „ტარიელმა სატრფოს დაუფურთხა, უსისხლოდ (ამაღის გაუფლექად) მოკლა ყმა, თუმცა კი საჭიროდ და შესაფერისად მიაჩნდა სასიძოს ამლიანად ამონყვება“ (ჟურნ. „სკოლა და ცხოვრება“ 1988წ. №3), როგორც ვიცით, ამაჟამად როსთაველოლოგიაში ეს აზრია მიღებული-გაბატონებული.

ჩვენ ვერ დავეთანხმებით ვერც პირველ, ვერც მეორე და ვერც მესამე თვალსაზრისს.

ტარიელი ყვება: „უსისხლოდ მოგვად იგი, გლახ, თუ ცა ხმდა სისხლს დადენით“.

(ზოგ გამოცემაში „სისხლის დადენით“, უფრო სწორად მიგვაჩნია „სისხლთა დადენით“, ზოგან „გლახის“ მაგივრად არის „ყმა“).

ვერ იმის შესახებ, — ტარიელმა სასიძო გაგუდა თუ სისხლის დადენით მოკლა? მართებულად მსჯელობს მ. თავდომეილი: „სრული გაუფურთხობა იმანზე საუბარი, რომ ტარიელმა ... სასიძო სრულიად უსისხლოდ მოკლა. არა იქვე პოემაში (და ამას დიდი კვლევა-ძიება არ სჭირდება) ფარსადან მეფე ბრძანებს: „მას უყვარდა ქალი ჩემი, სისხლი ველთა მოუღვრიან“.

„მინარე კაცის თავი რომ სვეტს შეუტაკა, უჭვვლია, ყმას სისხლიც დასდინდებოდა“ (გვ. 54.) სწორია მკვლევარი, როცა მიიჩნევს, რომ სასიძოს „სისხლი დადენა“ (თუ რა „დოზით“! ამას ქვემოთ დავინახავთ), მაგრამ ფარსადანის ნათქვამი „სისხლი ველთა მოუღვრიან“, მცდარი არგუმენტია; ეს „სისხლი“ სასიძოს სისხლი არ არის! განრისხებული ფარსადანი ამბობს: მას უყვარდა ჩემი ქალი და როგორც მივეწერი, ცრემლებს და სისხლს ღვრიდა ველად! ამ სტრიქონს ხომ ამავე შინაარსის გამძლიერებული სტრიქონი მოსდევს: „რა ნახიან ერთმანეთი, არმხედვარ ვერ დათმიან“. ასეთი იყო რაინდთა წესი. პოემაში ასეთი მიჯნურები არიან ტარიელი და ავთანდილი. „სისხლის დაღვრის არგუმენტად დავარსის სიტყვები აჯობებს: „ახუ სისხლსად მისისა ჩემი რად მოაზღვევიან?“ (53ა, 2)

ახლა იმის შესახებ, ტარიელს მართლად „საჭიროდ და შესაფერისად მიაჩნდა სასიძოს „ამლიანად ამონყვება?“ (მ. თავდომეილი). კი, ბატონო, ნესტანთან თათბირამდე მართლაც ამ აზრისა იყო და განრისხებული, მაგრამ თათბირის დროს, დაარწმუნდა რა ნესტანმა! ასე და ასე აჯობებს, შეიცვალა აზრი და განწყობილება: აი, რას ამბობს ტარიელი:

„ესე მეტად მომწონა თათბირი და გამორჩევა“. არა მარტო „მოწონა“, არამედ „მეტად მოწონა“, ე.ი. ძალიან მოეწონა. ამიტომ როდესაც სასიძო

მოკლა, სრულიად ბუნებრივია, ტარიელი აღარ ფიქრობს იმაზე, თუ მოკვლა როგორ აჯობებდა, — ამალის ამოწყვეტლად თუ ამალის ამონყვებით! მამ, რას ნიშნავს:

„... თუმცა ხმდა სისხლთა დადენით?“

მკვლევარები სრულიად არ აქცევენ ყურადღებას „ხმდა“-ს სემანტიკურ მნიშვნელობას, ფიქრობენ, რომ „ხმდა“ აქაც ნიშნავს: „საჭირო იყო“, „ჯობდა“, „ერჩევნა“. სინამდვილეში „ხმდა“ ნიშნავს „ხმინობას“, ხმის გამოცემას! მიყვებით სტრიქონის შინაარსს: ტარიელი ამბობს: „უსისხლოდ მოკვალ, როგორც ნესტანმა „დაძაბარა“ (ე.ი. ამალის ამოუღებლად), და აქ (როსთავედით) ამ სიტყვას („სისხლს“) „გვერდს უქცევს“, „ატრიალებს“ (კონკრეტულზე ჩამოყავს); თუმცა რაღა უსისხლოა, სისხლის დენის (დაღვრის) ხმა გამოვიდა, გაისმა! სწორია მ. თავდომეილი, როცა ამბობს: „აქ რაიმე სინანულზე ლაპარაკი ზედმეტია!“ პროფ. ნოდარ ნათაძე კი ამბობს: „გლახ“ გამოხატავს სინანულს ან სიბრალულს“. მამ, რას ნიშნავს „გლახ“-? ამ სტრიქონში იგი ტარიელის ნათქვამს დაქადაგების მნიშვნელობას სძენს. ასევე ტარიელის ამ ნათქვამშიც:

„მოვიდა კაცი: „სასიძო მოვო“, მოსვლა გვახარა, მაგრამ თუ ღმერთი რას უზამს, არა იცოდა, გლახ, არა“

აქ დაქადაგებას ოდნავ დაცინვის კოლოც გავრია (და არა შეპრალევა-სინანულისა).

რა აქვს დასაქადნები ტარიელს? სიტყვა „დაქადნება“ (ვეენა) შეიძლება მკვეთრი ნათქვამი იყოს, მაგრამ მძინარე სასიძოს მოკვლა ისე მოხდა, რომ ტარიელის ლომგულოვნებას და უზომო ფიზიკურ ძალას ვგრძნობთ. მან „ყმისთვის“ „ფერხთა მოკიდება“ და სვეტისათ-

ვის თავის შეტაკება ძალზე ადვილად, „მსუბუქად“ მოახდინა... (არცაა გასაკვირი, გავიხსენოთ: „ცხენ კაცისა დაედგი გორი“).

უკვე მესამის ჩემი შესაძლო ოპონენტების მინიშნებით მიითებთ: „ასეთი მნიშვნელობით მიითებთა: „ასეთი მნიშვნელობით „ხმდა“ თუ იხმარება კიდევ სხვაგან პოემაში?“ დიახ, იხმარება და, თანაც, შესანიშნავი მაგალითი და მტკიცება იმისა, რომ „ხმდა“-ს აქაც სწორედ ეს სემანტიკური მნიშვნელობა აქვს.

ლაპარაკია 609-ე სტროფის მე-4 და 610-ე სტროფის პირველ სტრიქონზე. ფრიდონი უყვება ტარიელს: ვნადირობდი ჩემი და ბიძაჩემის სადავო ჭურჭელზე. ბიძაჩემის ყმათა სიმრავლეს აინუნშიაც არ ვაგაძვბდი, „ვნადირობდი და ვიზახდი, ხმა ჩემი არ უდიოდა“. „არ უდიოდა“ ასეა განმარტებული ზემოთ მიითებული წიგნში: „დიდა, პატარა არ არის, იგულისხმება: ხმამალა, დაურდებლად ვევიროდი, უყუოდი ნადირს და მონადირებს“

ამ სტრიქონს მოსდევს შემდეგი სტროფის პირველი სტრიქონი: „მართლად იჯავრეს, წუნობა მათი თუ ესრე ხმდა ვითა!“

ზემოთ აღნიშნულ წიგნში სტრიქონი დანაწევრებულიად ასეა განმარტებული: „მართლად — სამართლიანად“. ჩვენი აზრით, „მართლად იჯავრეს“ ერთად უნდა განმარტოვდეს ასე: „ძალზე გაბრაზდნენ, განრისხდნენ“ (ფრიდონი ხომ არ იტყობდა: სამართლიანად განრისხდნენო!). გრძელდება განმარტება: „წუნობა“ — აბუჩად აგდება, ანგარიშგაუწველობა. „ხმდა“ ვითა?“ — როგორ შეიძლებოდა? როგორ უნდა გაეზღა ვინმეს?“ სწორედ ეს განმარტება მიგვაჩნია არასწორად! ნინა სტრიქონში ხომ დიდ ხმაზეა (ყვი-

რილზე, ყივილზე) ლაპარაკი, ამიტომაც სტრიქონის აზრი ასეთია: „ბიძაჩემის ყმათა იმიტომ განრისხდნენ, ასე ხმამალა რომ „ვიზახდი“, ასე ხმამალა აბუჩად რომ ვიგაძვბდი მათ, ასე ხმამალა რომ „ვეწუნობდიო!“, თუ ასრე“ იმას ნიშნავს — „მოკრძალებულად“ რომ ენადირა, შესაძლოა, ასე არ განრისხებულყენენ; („ესრე ხმდა ვითა“ ნიშნავს: „ასე ხმამალა რატომ“).

„როგორ უნდა გაეზღა ვისმე!“ კი არა, მათ იციან, რომ ამას ფრიდონი ბედავს, მაგრამ ასე აშკარად, ხმამალა (ხმდა ვითა), დამამკიცრებლად? — ამან განარისხა მისი ნათესავ-მოადგენი....

დევთურუნდით ისევ სასიძოს მოკვლის სცენას და თვალნათლივ წარმოვიდგინოთ ყველაფერი; ტარიელი ამბობს:

„კარავსა შვეე, იგი ყმა ვითა წვა, ზარმაც თქმად ენით“-ო.

ზემოთმოყვანილ წიგნში ტაეპი ასეა განმარტებული: „ზარმაც თქმად“ — თქმა მითარავს, თქმა მიჭირს. ტაეპის აზრია: „ელხაც ზარმაც იმის გახსენება, ის მოყმე, მოსაკლავად განწირული, როგორ იწვა“. ჩვენი აზრით, განმარტება არასწორია. თუ ასე „შვეზარა“ ტარიელს, მაშინ როგორღა მოკლა ასე „მსუბუქად“? ნაკლებდასაჯერებელია ტარიელის ასეთი „დაზაფრება“. „ზარმაც“ ერთი სიტყვა უნდა იყოს და ტაეპის აზრია: იგი ყმა ზარმაცულად, ე.ი. ზარმაცით იყო ნამონოლოდი, ნებეივად, უდარდელად... (თქმად ენით) — ენამ რომ თქვას“, ასე რომ ვითყვათ“).

„ყმასა ფერხთა მოკეციდე, თავი სვეტსა შვეუტაკე“

„ფერხთა მოკეციდე“ — იმას ნიშნავს, რომ ტარიელი ფეხებზე მოეკიდა, ე.ი. ფეხებს ხელები მოკიდა, მოიქცა და თავი სვეტს შეუტაკა. ამ დროს წარმოუდგენელი და დაუჯერებელია, სასიძოს მცოლედ ტავინში სისხლი ჩაქცევდა და უსისხლოდ მომკვდიარეყოს! მას არა მარტო სისხლი წამოუგდა, არამედ სისხლმა იფეთქა, გატეხილი თავიდან „სიჭრილით“, ე.ი. ხმაურით წამოვიდა სისხლი; სწორედ ამას ნიშნავს „ხმდა“, — ხმინობდა, ხმა გამოვიდა (უფრო სწორად, „ხმა გამოდიოდა“) სისხლთა დადენით! (შეადარე: ვაჟა-ფშაველას ნერილში „თიანური ფელეტონი“ მოჰყავს ხალხური ლექსის ასეთი სტრიქონები: „თოდ დაჰკრა ომიანოვსა, სისხლს დამაქვს შრიალთა“, ტომი IX გვ. 201, 1964 წ.). აი, ეს „შრიალი“ ის „ხმდა“!

სახელი „ხმა“ ზნნად რომ იქცა, უწყვეტელი მწკრივის (თუ ძველქართული ხოლმეობითის) ფორმა „დ“ გაჩნდა და წარსული დროის შინაარსის სიტყვანარმონაქმნი მივიღეთ, რაც ჩვეულებრივი მოვლენაა როსთავედით!

**უშანგი ჯანაია** პროფესორი

## ვესუჯი ჯგეფი „ვეფხისტყაოსანიში“

**ჰეკა სასონია**

ტარიელი მოსალოდნელზე ადრე დაბრუნდა გამოქვაბულში, რამაც ასამატი გააკვირვა, ასე ადრე რატომ მოხვედი, ხომ არაფერი შეგემთხვაო. ტარიელმა უამბო ასმათს, რაც შეემთხვა: ვინმე მონადირე მეფეს გადაეყარე, რომელმაც ჩემი შეპყრობა მოინდომა და გავერდეთ: „რად დაჰპრუნდი? — მოახსენა, — მითხარ, რაცა ნაგეკიდა!“

მან უბრძანა: „მონადირე მეფე ვინმე გარდმეკიდა, ჰყვეს ლაშქარი უფოლაჳნი, ბარგი მძიმედ აეკიდა, იგი მინდორს ნადირობდა, დაფანჩეა მარეკი, და“ (270).

„გრეგოლ ხანძელის ცხოვრება“, სადაც ერთგან ვკითხულობთ: „ხოლო იყო ვინმე აზნაური დიდებული ნინაშე ამოტ კურაპალატისა და ერქუა მას სახელი გაბრიელ დაფანჩული, და ან ნათესავთა მისთა ჰქვიან დაფანჩულინი“. და იქვე —

*„დაფანჩეა“*

„ნეტარმან გრიგოლ... მიიწა ნებთა ღმრთისათა სახელსა გაბრიელ დაფანჩულასა“ („ქართული მწერლობა“, ტ. 1, 1987, გვ. 540).

ესე იგი, მე-8-ზე-9 საუკუნეთა მიჯნაზე, ამოტ კურაპალატის დროს, ყოფილა ვინმე აზნაური დაფანჩულის ვეკრით თუ სახელით, მაგრამ ვერ ვიცავით, რატომ უნდა ნოდებულყოფ სხეზეული პიროვნება ასე. მაინც რა სიტყვაა და რას ნიშნავს ფანჩეა-დაფანჩეა-დაფანჩულინი?

საბას და წიუბინაშვილის განმარტება იდენტურია: „ფ ა ნ ჩ ე ა - და ფ ა ნ ჩ ე ა“, თ.ბაგრატიონის განმარტება კი ასეთია: „დაფანჩეა — მერეკი და

მერეკეინი მონადირე იგინი არიან, რომელნიცა ნადირსა მოირეკენ ცყით. დაფანჩეა — ტყეში მოდებას, ანუ ტყეში დაფანჩულად რომ შევლენ ნადირს საძებნელად, მას სახელდების და როდესაც, რომ დაიფანჩვიან, ტანისამოსს შეიკეცენ. ესე იგი, ზემო მუხლთა სარტყლამდე აიკეცენ ტანის სამოსსა, რომელ ჯანგართა და ეკალთა არ დახიონ ტანსაცმელინი“ („განმარტება პოემა ვეფხისტყაოსანისა“, გვ. 39).

„დაფანჩეა დაფანჩის მნიშვნელობით ნახსენებია „ქართლის ცხოვრებაშიც“ (ტ. 1, 1955წ. გვ. 276).

ისევე როგორც სხვა ზოგიერთი სიტყვა, ფანჩეა — დაფანჩეაც მესხური წარმოშობის სიტყვაა და მამასადაც, როსთაველოვი

„დაფანჩეა“ ნიშნავს, — დაფანჩეა-ს, როგორც ფანჩეა-ფანჩეას, ფანჩა კი, მესხური ვაგებით, ზოგიერთი ცხოველისა და ძაღლის თათი და ტორია, ხოლო, ცალკეულ შემთხვევაში, — ადამიანის მძიმე ხელიც.

ფანჩა — სიტყვასთან დაკავშირებით უნდა ითქვას, რომ სამცხე-ჯავახეთში ეს სიტყვა (წოდებით ბრუნვაში — ფანჩო) კაცის სახელადაც არის ქვეული. „ფანჩო მამაკაცის სახელია ხიზაბარაში“, — წერს გრ. ბერიძე „ჯავახეთის დიალექტის სალექსიკონო მასალა“ (1981წ. გვ. 127). ბარე აქვე შევნიშნავთ იმასაც, რომ ფანჩა თუ ფანჩეა სიტყვიდან უნდა მომდინარეობდეს ცნობილი ქართული გვარები — ფანჩიძე და ფანჩულიძე.

„ვეფხისტყაოსანის“ ზემოხსენებულ 270-ე სტროფში „დაფანჩეა“ — სიტყვას მოსდევს ასევე საინტერესო სიტყვა მარეკი, რაც იგივე მრეკელია, ანუ ტყიანად საზადრო ნადირთა გამომრეკავ-გამომდევნებელი. ეტყობა, ამ კატეგორიის ადამიანები მიღებულ-დაფანჩულით ყოფილან სამეფო კარზე, ხოლო მათი თავკაცისთვის უბოძებიათ ზედნოდება გამრეკელი, რომელიც შემდეგში ჩვეულებრივ გვარად მოგვევლინა. ამ გვარწოდების ერთ-ერთი წარჩინებული კახა გამრეკელ-თორელი იმ ქართულ ერისმოთავართან იყო, ვინც მონაწილეობდა მონღოლთა ნინალმდე 1245 წელს მოწყობილ „კოხტაგორის“ შეთქმულებაში.

### იხსაკ ღაჭილი

აი, თითქოს გუშინ ვეხებოდი ამ დიდებული სალოცავის კედლებს, ველოლიავებოდი ამ სათაყვანებელ, მაგარი ნათალი ქვით ნაგებს; სულმნათი გალაკტიონი მასხენდებოდა, ნიკორწმინდას რომ უმღერა: – „რა ხელმა ააგო!“... მართლაც, რა მადლიერ ებრაულ ხელს უნდა აეგო ეს ძველი ახალციხური ლოცვის კომპლექსი.

1741 წელი... საქართველო საქმოდ სათუო გეოპოლიტიკურ სივრცეშია მოქცეული, – ხშირი სამხრეთ-ისლამური აგრესიის მიში და... ახალციხე იგივე ახიზკა. თურქებმა, ვილაიეთურად, იენიკალე რომ შეარქვეს, სწორედ რომ საზღვარზეა. მასხოვს, 1967 წელს, სავალდებულო-საოფიცრო მომზადებას ვალეში გავდიოდით, მიმდებარედ, დასავლეთით, ნატოს-სასაზღვრო ძალებია განლაგებული. მას შემდეგ რამდენი რამ შეიცვალა მსოფლიოში, მათ შორის დაცვა საბჭოთა კავშირი... დღეს ყოფილი ლეიტენანტი დასავლეთის იმიერპირეთიდან უმზერს ამ საზღვრებს. ვალედან ხშირად ჩავაკითხავდი ახალციხეში ან განსვენებულ მეგობარსა და რაბინ იოსებ ყვითელაშვილს. იგი ძალზე სათუთი, მოკრძალებული, ფრიად განსწავლული ადამიანი იყო. რა გულთბილად მიღებდა თავის კეთილშობილურ ოჯახში. ერთხელ, ჩემს რამდენიმე თანაბოლკელთან ერთად, ვესტუმრე, მეგობრებს ანტერესებდათ 1920-იან წლებში დაარსებული, ახალი სალოცავის დათვალიერება, ადგილობრივი სიძველეები. რაბინმა იოსებმა საგანგებოდ ცხვარი დაკლა, შესანიშნავი სუფრა გავავინყო. მის გულუხვობას საზღვარი არ ჰქონდა, ვისაუბრეთ ადგილობრივ რაბინებზე, მართლაც, რამდენი გამოჩენილი რაბინი მისცა ახალციხეში საქართველოს ებრაელობას. დავინწყით თუნდაც რაბინ იოსებ დავითაშვილით, რუსეთის ებრაულ პრესაში რომ აქვეყნებდა თავის წერილებს მე-18 საუკუნის ბოლოს. ერთ-ერთი პირველი ერეც-ისრაელი წამსვლელი, მაშინ პალესტინად რომ იყო ცბონილი, სწორედ ახალციხელი რაბინი იყო სოფელ დეგარიდან (დღ. ბორჯომის მუნიციპალიტეტი), როგორც მოგზაურები მიუთითებენ (იოსებ ჩორნი, ფრი ქოზლი და სხვ.). ჩამოთვლა შორს ნაგვიყვანს, ასევე შეიძლება გავიხსენოთ რაბინი იხიზეკელ თეთრუაშვილი, საქართველოს და თბილისის თავდადებული რაბინი ემანუელ დავითაშვილი, ბეცალელ ბაბალაშვილი და სხვები. არა ერთი მსგავსი ეპიზოდია ასახული ჩვენს ნაშრომებში. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს რაბინ ეფრაიმ კოკიას ებრაულენოვანი ფოლიანტი, რომელიც იერუსალიმშია დაბეჭდილი. წინასიტყვაობაში იგი მიუთითებდა, რომ ახიზკადან, ანუ ახალციხიდან იყო.

შარშან აქაურ ძველ სასაფლაოსაც მივაკითხე. რამდენ რამეს გვიამბობენ ეს ქვები, ეს წარწერები, მოყოლებული მე-17 საუკუნიდან მე-20 საუკუნის ბოლომდე. ზოგ მათგანზე ლათინური ტერმინია ხმარებული „სეპიხორს“ ე.ი. „მუნ განსვენებული პატივცემული ბატონი“. მართალია თურქეთში მოსახლე სეფარადი ებრაელების გავლენა გარკვეულწილად იგრძნობოდა ახალციხეში, მაგრამ არავითარი გენეტიკური კავშირი არ იყო მათ შორის და ახალციხელი ებრაელები საკუთრივ კავკასიის იბერიის ადრეულ გენო-ტიპს ქმნიან, რომელსაც ჩვენ, სავარაუდოდ, ძვ.წ.აღ.-ის პირველი ათასწლეულის დასაწყისით დავათარილებდით. გადახედეთ თუნდაც თანახის ცალკეულ თავებს, დავიძინოთ ფსალმუნები ყოველი დამწყები მწერლისთვის რაოდენ ჩინებული მხატვრული ქარგა იქნებოდა. მაგალითად, ასეთი სურათია აღწერილი: გაერთიანებული ისრაელის ზეთცხებულ მონარქი დავიდი, მისდამი დაქვემდებარებული ძველი ფინიკიის (ცარი, ციდიონი, ბიბლოსი) და ანატოლიის გავლით სამხრეთ კავკასიის მიჯნებს აღწევს, ჩვენს მშობლიურ მესხეთს, იგი მემუხად რომ იხსენიებს, – ტაო-კლარჯეთს, სამცხის, საათაბაგოს. ფაქტურად იქმნება უწყვეტი ტერიტორიული კორიდორი ერეც-ისრაელსა და კავკასიის ამ არეულს შორის. და თუ რომელიმე ერი, ტომი თუ ხალხი ეწილებდა მკვეთრად გამოხატულ ბიბლიურ ეთნო-ტოპონიმებს, ეს ქართულ-იბერიული ტომებია: მემეხი, თუბალი, ხალახი, ხაბორი, ჰერა, გაში, კარდუ, რომლებსაც ჩვენი წმინდა ისრაელი წინასწარმეტყველები ასე ხშირად იხსენიებენ. მართლაც რომ მჭიდროდ ჩაეხლართნენ ერთმანეთს ისრაელ-კავკასიის ისტორიული განიკვეთები, ასე თვალნათლივ რომ არიან ასახული ვრცელ არქეოლოგიურსა და ეთნო-ანთროპოლოგიურ-ლინგვისტურ გამოკვლევებში და ლიტერატურაში. დღეს ჩვენ შეგვიძლია თამამად ვილაპარაკოთ დასავლეთით ძვ.წ.აღ-ით V-IV ათასწლეულებში საერთო სემიტურ-ინდოევროპულ-ქართველური ენის არსებობაზე, რომელმაც შემდგომში დიფერენცირება განიცადა. ჩვენი მიერ მომზადებულ ინგლისურენოვან ამერიკულ პუბლიკაციებში ამ თემატიკას სათანადო ადგილი ეთმობა და ეს კვლევა ინტენსიურად გრძელდება. ამდენად, არაერთი ადრეული მოსაზრება, თხისი თუ არგუმენტი გარკვეულ რევიზიას განიცდის, მოპოვებული მასალის რაოდენობისა და მისი თვისობრივი

გაანალიზების კვალზე. ისრაელ-კავკასიის, კერძოდ, საქართველოს ურთიერთმიმართება გარკვეულ დიასპორულ პარადიგმს ქმნის საკუთრივ ებრაულ-ისრაელურ-იუდეური პლასტებისა თუ შრეების კატეგორიზაციისათვის. ეს პარადიგმა სავსებით შეესაბამება და ასახავს მსოფლიოს ებრაელობის ისტორიული შიდა-დიფერენცირების საკმაოდ რთულ სურათს. აი, ჩვენ მიუთითებთ ისრაელ-საქართველოს პირველი შეხების წერტილზე, იგივე ახალციხის, სამცხე-ჯავახეთის არეალის მაგალითზე, როცა ფაქტურად ჩამოყალიბდა, ე.წ. ანატოლიური ანთროპოლოგიური პლასტი, ახალციხელ ებრაელთა სახით, რომელმაც მოიცვა აგრეთვე ბორჯომ-თრიალეთის გასწვრივი რეგიონები. ალბათ, სიმბოლური უნდა იყოს ისიც, რომ ასე



მოგვიანებით, 1835 წელს, ახალციხეში 623 ებრაელი სახლობდა, თბილისში კი მხოლოდ 61. მე-19 საუკუნე ახალციხიდან თბილისისკენ დაწყებული მიგრაციას მოასწავებს, რაც ასე ბრწყინვალედ გვირგვინდება 1900-იან წლებში ახალციხის ებრაელთა მთავარი სალოცავის აგებით. სალოცავი, რომელიც ამ სტრიქონების ავტორისთვის მეორე სახლად იქცა და სადაც მისი მამა – ხაიმი, 1950-იან 1960-იან წლებში საკრებულოს სათავეში ედგა მის ერთგულ მოციქულთან – ეფრაიმ ფალაგაშვილთან, ხაიმ კორდუხიაშვილთან, ადრეაშვილთან და სხვებთან ერთად... ნათელში იყოს ხსოვნა მათი.

სწორედ ამ ფონზე იკვეთება საქართველოში არსებული მეორე ანთროპოლოგიური ფენა ებრაელობაში – დასავლეთ საქართველოს პონტოური გენოტიპი და მესამე გენოტიპი, რომელსაც პირობითად ქვედა კავკასიონური მთიანეთის შრედ მივიჩნევდით. ჩვენი ამას ვაქცევთ ძირითად ჩარჩოებში, თუმცა ბევრი რამ დაკონკრეტებასა და დაზუსტებას საჭიროებს. ამდენად, ქართული ისტორიული წყაროების ცნობები, – იგივე ლტოლვილ ჰყრიათა მოსვლა მცხეთას და მათი ზანავეში დასახლება, შემდეგ კანთესვა, განსახლება დასავლეთსა და ჩრდილოეთის მიმართულებით, უნდა იყოს განხილული საკუთრივ ებრაულ-ისრაელურ საქრონიკო მასალებთან შეჯერებისა და შორსმავალი გააზრების ფონზე. შედეგად, ჩვენ ვასკენით, რომ საქართველოს ებრაელობა არ წარმოადგენს ერთ მონოლითურ ანთროპო-ფიზიო-ფსიქოლოგიურ გენოტიპს, მან ათასწლეულების მანძილზე ფართო-მასშტაბური დაფენიანება განიცადა, როგორც სხვადასხვა მიგრაციული-ებრაულ-იერი, ისრაელიური, იუდეური ტალღების კვალობაზე, ასევე, შიდა გადაადგილებებისა და ე.წ. რეულზე მოქცევის, ანუ კონვერციების გამო, რაც, როგორც ჩანს, საურთიერო იყო ქართველებსა და ებრაელებს შორის.

ახალციხე, აწყური... წინაპართა ძელები აქაც, იქაც, ყველგან. აი, ჩვენი გზამკვლევი გაბაი, ბ-ნი სიმონი ლოცვისკენ მიგვიძღვის... ჭიშკარი, ვარშემო მალჩები და ხეივანი, გულუხვი ახალციხის მასპინძლები ხელდახელ დაკრეფილ გემრიელ ყურძენსა და ხილულს გვიწვდიან. გაზუსტებული ყურადღება მერის – გიორგი კოპაძისაგან, მისი კვლევებისაგან, ესოდენ უღრმესი მაღლობა ყველას.

ძველი გაყვითლებული თორის ფურცლები, თალმუდის ტომები, 300 წლის წინ გამოცემული ნიგნები, რუსეთის იმპერიასა, იტალიასა თუ თურქეთში. რამდენი რაბინის, ხახამის ხელი შეხებია მათ, რამდენი ფიქრი დადგრილა მათზე საუკუნეების განმავლობაში. როგორ შეეზარდნენ ერთმანეთს დიდგვაროვანი ახალციხელი

გამგებლების ქვეშ ქართველები, ებრაელები, სომხები, კათოლიკები, მუსულმანები, მრავალენოვანი კულტურის სხვადასხვა საწვავ-ფასე-ულობათა შესანიშნავი პრეზერვაციის კერა, ასე კარგად რომ არის წარმოდგენილი რაბათზე, ადგილობრივ მუზეუმში. ჩვენ კიდევ დავავით საკითხი – ებრაელთა ძველი სალოცავის კომპლექსში მოეწყოს ადგილობრივი ებრაული მუზეუმი, სასაფლაოს განმტოებით. ვფიქრობ, სათანადო ქველმოქმედებისა და ყურადღების შედეგად ეს საკითხი დადებითად გადაწყდება.

ახალციხე სამცხე-ჯავახეთის დედა-ღერძია, მაგრამ აქვეა საუცხოოდ შემორჩენილი და შემონახული ვარძია, ხერთვისის ციხე, საფარის მონასტერი, დაბა ძველი ბეშთაშენი, ზარზმის სამონასტრო კომპლექსი, ოქროს

ული კორიდორების თეორიის ჩამოყალიბებისკენ გვიბძგებს.

ამდენად, შემთხვევითი არაა, რომ ყოველივე ეს ახალციხე-სამცხე-ჯავახეთის გეოგრაფიულ-ისტორიულ ჩარჩოებს დაუკავშირდა. მივყვით ზემოხსენებულ პუნქტებს თანმიმდევრობით: – თვისობრიობის განზომილება, ანუ ფაქტორი, მჭიდროდ უკავშირდება ებრაული და, შემდგომ, ისრაელური ელემენტის ექსპანსიის ხასიათს. ეს უკანასკნელი შეიძლება ყოფილიყო ვოლუნტარიული, ანუ ნებაყოფლობითი ისე, როგორც ამას ადგილი ჰქონდა ძვ.წ.აღ-ით 1600-1200 წლებში ახლო აღმოსავლეთისა და ჩრდილოეთ აფრიკა-ხმელთაშუა ზღვების აუზში (ჰაბირუს ნომადური ტომები, ზღვის ხალხები, ჰიქსოსები, ეგვიპტე, ვითარც ცენტრი, ებრაული ეთნიკურ-სარწმუნოებრივი გავლენის განვრცობისა აფრიკის კონტინენტზე). აქვეა განსახილველი ებრაული ელემენტის შემოღწევა ამიერკავკასიაში და ცნება ივერ/იბერ-ის გეოგრაფიულ სემანტიკური დიფერენცირება (პირენის იბერია, ირლანდიის ჰიბერნია, ინდო-ჩინური მეთასხეობა...), ასევე თვისობრივად ნებაყოფლობითი ექსპანსიის და მაგვირგვინებული აქტი – ისრაელის მეფე დავიდის სამხედრო ექსპედიციები ჩრდილოეთის მიმართულებით, რამაც ვასალურ სტატუსში მყოფი ფინიკია (ლიბანი) და აღმოსავლეთ ანატოლიის ტერიტორიული ერთეულები მოიცვა პოსტ-ხეთურ-მითანი-ხურტიულ ხანაში. ე.ი. დავიდისეული იმპერია ნიშანდობლივ შეემიჯნა ქართველური ტომების სამოსახლოებს მესხეთის მთების გასწვრივ ტაო-კლარჯეთში (მავ-შეთი, ერუშეთი, ბასიანი, თორთომი, არტაანი, პალაკაციო, კოლა...) ესაა სწორედ მესხეთის ის კორიდორი, რომელიც ჩვენ მიერ პოსტულირებული ებრაელთა-კავკასიის განვრცობადი ლერძის (Hebrew-Caucasus Axis Extension) სანყის, პირველად ეტაპს წარმოადგენს. მოვიანებით ინიშნება ასეთი თვისობრიობის შეცვლა: ძვ.წ.აღ-ით VIII ს-ში შორმონისეული ისრაელის სამეფოს რღვევა და ისრაელის ათი ტომის ძალდატნებით განსახლება, ხოლო ძვ.წ.აღ-ით VI საუკუნეში იეჰუდას, ანუ იუდეას სამეფოს დაცემა და მისი მოსახლობის ნარტყვევება, რაც ესოდენ ზუსტად ასახა ძველმა ქართულმა ისტორიოგრაფიამ.

– ქრონოლოგიური განზომილება, რომელიც მიაწინებს მიგრაციული ტალღების დენადობაზე ამიერკავკასია-საქართველოს მიმართულებით და შეესაბამება ზემო-განმარტებულ თვისობრიობის ცვალებადობის სურათს. აქ ექცევა გაერთიანებული ისრაელის მონარქიის უკანასკნელი წარმომადგენლის სოლომონისეული ნაოვრეცობები, როგორც დასავლეთის ხმელთაშუაზღვა – ატლანტიკის მიმართულებით, ასევე აღმოსავლეთით – ინდოეთის ოკეანისა და ვრცელი ოკეანის კუნძულებისაკენ (ჰინდუდები, სოლომონის კუნძულები, ახალი ზელანდია...) ასურეთის მიერ იავრყოფილი ისრაელის სამეფო ძვ.წ.აღ-ით 720-იან წლებში, განდევნილი და განსახლებული ათი ტომით ქმნის მეორეულ სამიგრაციო კორიდორს ქვედა და შიდა ქართლის მიმართულებით, რაც სათანადოდ აისახა საქართველოს ებრაელთა ნარაფულსა და ზეპირსიტყვიერ ტრადიციებში. მოგვიანებით, ძვ.წ.აღ-ით 580-იან წლებში, ბაბილონის მიერ დანგრეულ-გაპარტახებული იუდეას სამეფოდან ნარტყვევებული ებრაელები/იუდეველები, ძირითადად სპარსეთ-არმენიის გავლით შედიან აღმოსავლეთ საქართველოში – იბერიაში (მცხეთა, ზანაი, ხერკი, არმაზისხევი, ბაგინეთი...).

– გეოგრაფიული ფაქტორი – გამოდინარე ზემოხსენებული არგუმენტებთან, ადგილია მოვახდინოთ გეოგრაფიული მიგრაციულ-სამარშრუტო კორიდორების დედუქცია: I. მესხეთ-ჯავახეთის კორიდორი – ნებაყოფლობითი ექსპანსიის პერიოდი; II. არმენია – ქვედა კართლის კორიდორი – პირველი ძალდატანებითი, იძულებითი დასპორიზაცია. III. აღმ. საქართველოს, ანუ იბერია-მცხეთის კორიდორი – მეორადი იძულებითი დასპორიზაცია.

IV. ანთროპოლოგიური ფაქტორი, რომელიც სათანადო სპეციფიკური ებრაული გენოტიპის ჩამოყალიბებას გულისხმობს მთელი საქართველოს არეალში. პირობითად გამოყოფილთ სამხრეთ საქართველოს ებრაულ გენოტიპს, ანატოლიურს, თავის დამახასიათებელი კულტურულ-მენტალური ნიშან-თვისებებით, ბიო-ფიზიკური კონსტიტუციით, შიდა-ოჯახური ზნე-ჩვეულებებით, სამრევლო-საკრებულო ორგანიზაციის წესით, ფსიქოლოგიური ქარქტერისტიკით და სხვ. აღმოსავლეთ საქართველოს გენოტიპი, რომელსაც პირობითად კასპიურად მოვიანზრებთ, ჩრდილოეთ საქართველოს ებრაული გენოტიპი, ანუ კავკასიონური და, ბოლოს, დასავლეთ საქართველოსი, ანუ პონტოური. ცხადია, საუკუნეების მანძილზე ამ გენოტიპებს შორის ადგილი ჰქონდა აღრევა-შეზავებას, რამაც რიგი გარდამავალი ფორმები მოგვცა ადგილობრივი გეო-დემოგრაფიული ქარქმოს გავლენით, რაც ძირითადად საკუთრივ ქართველური ტომებისა და შიდა-ქართული ელემენტის ეთნო-ანთროპოლოგიურ დიფერენციაციასა და სხვადასხვაობას ასახავს.

### ბონლო არაქააქა

გამოვიდა გამოჩენილი ქართველი მწერლისა და საზოგადო მოღვაწის როსტომ ჩხეიძის ბიოგრაფიული რომანი „ბელი პავლე ინგოროყვა“, რომელიც მესამე შეესუბნული გამოცემა და მოიცავს 750 გვერდს. ეს კი მონაწილე იმას, რომ მწერალი, ათეული წლების განმავლობაში, რუდუნებით იკვლევდა ყველასაგან გამოჩენილი მწერლისა და მტყუნარული ფოლიანტებში ქართული ეროვნული გენიის მიძიების პავლე ინგოროყვას ხანგრძლივ ცხოვრებას და მეცნიერულ მოღვაწეობას მეოცე საუკუნის 10-იანი წლებიდან მოყოლებული თითქმის საუკუნის დასასრულამდე. იგი აქტიურად იყო ჩართული ქართულ პოლიტიკურ თუ მეცნიერულ-ლიტერატურულ ცხოვრებაში. აი, როგორ იხსენებს იროდიონ სონლულაშვილი პავლე ინგოროყვას გამოჩენას საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებრივ მუზეუმში: „შემოვიდა ახალგაზრდა, სტუდენტის ტანსაცმელში გამოწყობილი, 18 წლისა, მხრებში მოხრილი, მომლიბარი, ცისფრად გამკრავი მწვავე თვალების მქონე. მალე გავიცანი და თავისი ნიჭით გავაგოცა. სასულიერო პოეზიის მიმყო ხელი და ამან გაოცება გავგიორკევა. ექვთიმე ხელი ჩასჭიდა, უხაროდა, რომ ხელნაწერ ფოლიანტებს მეკლევარი გამოუწდა. ახალგაზრდა ჩემსა და ექვთიმეს ოჯახში იწყებს სიარულს. ჩემთან დაბინავდა რამდენიმე ხანსა და გავიცანი მისი მიზნობრივი ხასიათი. საქმეს მიჭირვებდა და თავს არ ვანებებდი. ჯანსაღობა აკლდა და მაინც თავს არ უვლიდა, ამ მხრივ პატრონობა სჭირდებოდა ჯერჯერობით“.

იროდიონის ამ გულითად და უანგარო მოპყრობას პავლე ინგოროყვა დიდად აფასებდა. 1913 წლის 11 ოქტომბერს მიწერილ წერილში წერს: „... შენთან მიგვრძნენია და ვგრძნობ, რომ შენ შენი გრძნობების უცნაური სისწრფელით და სიფაქიზით შეგიძლია ჩემი თანამოზიარე გრძნობებისა... მეგობრობა — რა დიდა იგი! ადამიანის გრძნობათა საბადნაროისი უმშვენიერესი ყვავილთავანია, ვინ დადო ზღვარი მასა და სიყვარულს შორის?! ეს იგივე სიყვარულია... აი, ეხლა პირდაპირ ბავშვური ფინით აღტულს, რომ იცოდე, როგორ მინდა მეგობრულად მოგვხვიო, მეგობრული კოცნით გადმოგცე ის, რაც სულში ცეცხლად დაენთო“.

ამ სტრიქონებში კარგად არის გადმოცემული იროდიონ სონლულაშვილის პიროვნება და კეთილშობილება.

მიუხედავად მძიმე ავადმყოფობისა, პავლე ინგოროყვამ თავდადებული შრომით მაინც გამოცა „ძველი ქართული სასულიერო პოეზია“ 1913 წელს.

როსტომ ჩხეიძემ ქართველი მწერლის — ალექსანდრე ქუთათელის რომანში — „პირისპირ“ — ერთ-ერთ მხატვრულ სახეში პავლე ინგოროყვა ამოიკრა. ერემო გოდებაძის, იგივე პავლე ინგოროყვას მგზნებარე პატრიოტული გამოხვევა რომ მოისმინა, მწერალმა გაიფიქრა — „რა აცოცხლებს ამ გამზდარ და ჭლებიან კაცს, საკვირველია“.

პავლე ინგოროყვას თავიდან პოლიტიკა აინტერესებდა და ფიქრობდა, პროფესიონალი პოლიტიკოსი გამხდარიყო, მაგრამ როსტომ ჩხეიძის სიტყვებით რომ ვთქვათ — „რაკილა პოლიტიკაში ვერ გაიტანა თავისი ბრძოლის ასპარეზი, მეცნიერებაში გადაიტანა“. მეცნიერება — მეცნიერება, მაგრამ პავლე ინგოროყვა ჯერ შემოსული მტრების წინააღმდეგ საბრძოლველად პირველი მიდის ფრონტზე და თავდადებით იბრძვის ჯვავებთში ოსმალეთის წინააღმდეგ. „მას ჭლები სჭირდა და, ორი კვირა გაული არ იყო, რაც სიცხეს აძლევდა, მაგრამ ფრონტს მაინც არ შორდებოდა“ — წერს ალ.ქუთათელი. პავლე ინგოროყვას პატრიოტულ შემართებაზე და უმომლოებაზე მეტყველებს მისი მოგზაურობა რევუა გაბაშვილთან ერთად პატარა ჩინდრიკა გემით ბათუმთან ტრაპიზონში. ნოე ჟორდანიამ გაგაზრდა და დაავალა — „ბერძენი ძალიან ყოჩაღი კაცია, რეველუციონერი, ჩვენი მეგობარი გერმანელია და ჩემი სახელით რასაც ეტყვი, გააკეთებ“. ამ დროს ტრაპიზონში საზავო კონფერენცია მიმდინარეობდა და მასში მონაწილეობის მიღება უნდოდა. განსაკუთრებით პავლე ინგოროყვა ცდილობდა საზავო მოლაპარაკებაში მონაწილეობის მიღებას და საქმის საქართველოს სასიკეთოდ შემოტრიალებას. საზღვრების გამიჯვნის საკითხი იხილებოდა და, აბა, პავლე ინგოროყვას რა მოასვენებდა. მაგრამ ყოველგვარი მცდელობა ამაო გამოდგა და „ჩვენც კულამოდ უბეღუნი მარცხით, იძულებულნი ვაგზდით გამოვყოლოდით ბათუმისკენ მომავალ გემს“ — წერს რეზო გაბაშვილი.

თურმე ვერც ბერძენი უშველა! მცირე მოგონება:

1970-იანი წლებია. შოთა რუსთაველის სახელობის ლიტერატურის ინსტიტუტში ვმუშაობ მეცნიერ-მუშაკად. განრიგის მიხედვით, ყოველ პარასკევს, განყოფილებაში მიწევდა მორიგეობა. ერთელაეც გაიღო ოთახის კარი და პავლე ინგოროყვა შემოვიდა თავისი განუყრელი პორტფელით ხელში. აქვე შევნიშნავ: ბატონ პავლეს გიორგი მერჩულეს — „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება“ თითქმის ზეპირად ვიცოდი, მაგრამ არ მქონია შემთხვევა მისი ავტორის გაცნობისა. ერთი სიტყვით, მე კი ვიცნობდი, მაგრამ ბატონი

პავლე არ მიცნობდა. საკამზე დაჯდა, პორტფელი გვერდზე მოიდო და გამიბა ძველი ნაცნობი მინაურული საუბარი. ალბათ, ვილაკაში შევეშალე. აი, მაშინ მომიყვა რეზო გაბაშვილთან ერთად ტრაპიზონში მოგზაურობის შესახებ. ასე, რომ პირველად მაშინ მოვისმინე ეს ამბავი. მომეჩვენა, მსმენელს იყო მონატრებული. მასხოსს, ერთ აკადემიკოსზე თქვა: — ძალიან უნიჭია, აბა, მითხარი, ერთი პრობლემა მაინც თუ დაუყენებია, გადაჭრას, ვინ დაეძებსო. მეცნიერებაზე ჩამოვარდა ლაპარაკი: მითხრა: — მუელე გარდამეცვალა, ოჯახის შექმნაზე აღარც მიფიქრია და დაამატა — თუ ხარ მეცნიერებაში, მთლიანად აქ უნდა იყო და ხელი პორტფელს დაარტყა. შემდეგ პარასკევსაც მოვიდა. პორტფელიდან ამოიღო სექლტანიანი მონოგრაფია რუსთაველზე და ადგილებს მიკითხავდა. გაცემული ფუფუნებდი, ისე კითხულობდა, იგრძნობოდა მთელი არსებით რუსთველის ეპოქაში იყო, რაღაც პოეტური აღმავრუნით... რომ გავაცვილე, კიბის თავზე მისთვის არასასურველი პიროვნება შეეჩეხა. შევატყე, ხასიათი წაუხდებოდა. ამის მერე აღარ მოსულა.


... როსტომ ჩხეიძე რამდენიმე პასაჟით გვიხატავს შეყვარებულ ახალგაზრდა პავლეს: მას თავდადებით შეყვარება ქეთევან ბაქრაძე. ამ ამბავს ექვთიმე თაყაიშვილი ასე იხსენებს: — „ქეთევან ბაქრაძე არ მიყვებოდა პავლეს. პავლემ ამათათი გამოავაზნა მინა ბათუმშიდან: თავს მოვიკლავ, ეს მინა შენ დამაყრე გულზეო. ექვთიმეს ქეთისთვის უთქვამს — ნუ მოაკლევინებ ნიჭიერ კაცს თავს, ცოდოდ დაგედებო და მისთვის ვიდე. ვიდრე მისთვის ვედედო, პავლეს თვითმკვლელობა მართლა უცდია, მაგრამ ექიმებს გადაურჩენიათ. ტყვია კი ექიმებს არ ამოაღებინა, მთელი სიცოცხლე ატარებდა“.

როსტომ ჩხეიძე წერს: პავლე ინგოროყვა პოლიტიკოსი ვახლდათ და რაკილა პოლიტიკაში ვერ გაიტანა თავისი ბრძოლის ასპარეზი,

ხოლო ადვილზე შეამონმა. შემდეგ პატარა ნიც ნიც შეადგინა: — „საქართველოს ტერიტორიული საზღვრების შესახებ“.

ამ ნივთს დღესაც არ დაუკარგავს მეცნიერული მნიშვნელობა და ივანე ჯავახიშვილის „საქართველოს საზღვრებთან“ ერთად აქტიურ სამეცნიერო მიმოქცევაშია.

პავლე ინგოროყვა, როგორც რედაქტორი და გამომცემელი, ასე სრულყოფილად ჯერ არავის არ განუხილავს, როგორც როსტომ ჩხეიძემ წარუდგინა მკითხველს. მას მოტანილი აქვს პავლე



# ბელი პავლე ინგოროყვა

მეცნიერებაში გადაიტანაო. მის პოლიტიკური ბრძოლიდან ერთ ეპიზოდს მოვიხმობ: საქართველოს ტერიტორიის საზღვრების გამიჯვნის საკითხი ამ დროს ძალიან მწვავედ იდგა. ცალკე ოსმალეთი ცდილობდა, რაც შეიძლება მეტი მიწები ნაეგლიჯა საქართველოსთვის, მთლიანი საქართველოს თუ არა, დასავლეთ საქართველოს დაპყრობის მცდელობაც ჰქონდა. სომხეთსა და აზერბაიჯანთანაც ვასარკვევი იყო საზღვრები. ამ დროს სომხეთის დამსაკურმა მთავრობამ გამოსცა სომხეთის პოლიტიკური და ისტორიული რუკები. ამ რუკებზე არც მეტი და არც ნაკლები, ისტორიული სომხეთის, ე.წ. „ველიკაია არმენია“ — აღდგენის მცდელობის წინაპრობა იყო ასახული. რუკები სომხებმა სტამბოლის კონფერენციაზე წარადგინეს და მოითხოვეს გორის მაზრის, ე.ი. აღმოსავლეთ საქართველოს, რა თქმა უნდა, თბილისის ჩათვლით, გადაცემა. ამ რუკებს ივ.ჯავახიშვილი „ფანტასტიკური“ უწოდა. გამოვიდა თურქეთის წარმომადგენელი და ნახვეარ საათში დამტკიცა, რომ ეს რუკები ისტორიული სინამდვილეს არ ასახავდა. ეს იმდენად აშკარა ფაქტობრივია, რომ სომხეთის მხარდამჭერებმა, ამერიკის და საფრანგეთის წარმომადგენლებმა, სომხეთის დასაცავად ხმა ვერ ამოიღეს. თუმცა, ამით გული არ გაუტეხათ და ამბავსაც, — რაც ამ კონფერენციაზე ვერ მიიღეს, იარაღის ძალით სცადეს მისი მიღება და ომის გამოუცხადებლად თავს დაესხნენ საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკას. ნოე ჟორდანიას რამდენიმე დღე არკვევდა — სომხების რეველარული ჯარი იყო შემოსული თუ მარბიელი რაზმები. ამასობაში კი სომხეთის ჯარი სადასლობედ მოვიდა. ნოე ჟორდანიას იმედმა — მენშევიკურმა გავრდამ ვერ გამართლა. სოცილალდემოკრატი ნოე ჟორდანიას მეფის დროინდეღელ, იაპონიის ომში გამორბობდ, ქართველ გენერლებს არ ენდობოდა, მაგრამ იძულებული გახდა მთავარსარბილად გენერალ კვიციანი დაენიშნა, რომელმაც შემოიკრიბა გამოცდილი და პატრიოტი ქართველი გენერლები და სომხების ჯარი შეაჩერა, მერე კი შეტევაზე გადავიდა და ისე სწრაფად მიიწევდა წინ, რომ ურეველიც ჩქარა შევიდოდა. მაგრამ ინგლისის წარმომადგენლობა ჩაერია, სადემარკაციო ხაზი გაავლო და იძულებული გახდა შეჩერებულიყო.

დასადგენი იყო საქართველოს საზღვრები. სასწრაფოდ შეიქმნა კომისია. ვიქტორ ნოზაძე გვაცნობს კომისიის წევრთა შემადგენლობას: „ირაკლი წერეთელი, დავით ონიანელი, პავლე ინგოროყვა და გენერალი ოდიშელიძე. პავლე ინგოროყვას კომისიამ დაავალა საქართველოს საზღვრების შესახებ მოხსენების გაკეთება. პავლე ინგოროყვამ ჩვეული გულისხმიერებით საისტორიო-სარბიერე მასალების მიძიებისა და მეცნიერული ანალიზის საფუძველზე მოამზადა მოხსენება“.

მართალია როსტომ ჩხეიძე, როცა წერს: — პავლე ინგოროყვა არ დაჯერდა სამეცნიერო ლიტერატურის გაცნობას და მთელი სასაზღვრო

ინგოროყვას ავტობიოგრაფიიდან ამონარიდები. დოკუმენტის შედგენილია 1934 წლის 15 აპრილს. იგი წერს: „... საქართველოს საზღვრებში ვიყავი ჟურნალ „კავკასიონის“ რედაქტორი. 1925 წელს, ჩემი ინიციატივით, დააარსდა გამომცემლობა „ქართული ნივანი“, 1925-1926 წლებში ვიყავი „ქართული ნივანი“ პასუხისმგებელი მდივანი და მთავარი რედაქტორი, ხოლო 1921-1930 წლებში ამირჩევი გამგეობის თავმჯდომარედ, 1929 წელს მინველი ვიქმენ საქართველოს მუზეუმში უფროს მეცნიერ-მუშაკის, ხელნაწერთა განყოფილების გამგის თანამდებობაზე, რა თანამდებობასაც დღემდე ვასრულებ.“

პავლე ინგოროყვას ალუმბრავს საკითხი, რათა მონყოზილიყო ექსპედიცია პალესტინასა და სინას მთაზე; სირიის, ათონის, პეტრიონის ქართულ ხელნაწერთა აღწერის მიზნით.

ამავე დროს, 1931 წელს, მას უმუშავია ტფილისის უნივერსიტეტის ენის, ლიტერატურის, ხელოვნების და ისტორიის ინსტიტუტში უფროს მეცნიერ-თანამშრომლად. ერთხანს მუშაობდა ქართულ ენციკლოპედიიში მეცნიერ-მდივნის თანამდებობაზე, მაგრამ ძირითად სამუშაოდ თვლიდა საქართველოს მუზეუმს.

ამ მოკლე ანეკდოტური ჩამონათვლით ჩანს პავლე ინგოროყვა ერთდროულად რამდენ სამუშაოს ასრულებდა. ეს იმაზე მეტყველებს, ამ პატარა, კაფანდარა და ავადმყოფ კაცში რამხელა ენერჯია იყო. ერთგან თვითონაც ამბობს: მოუხედავად ავადმყოფობისა, უზარმაზარ ენერჯიას ვგრძნობო. აღარ გავყვები იმას, თუ როგორი რედაქტორ-გამომცემელი იყო პავლე ინგოროყვა, — ეს როსტომ ჩხეიძის დიდებულად აქვს აღწერილი და გადმოცემული რომანში.

როსტომ ჩხეიძის სასახლოდ უნდა ითქვას, რომ მას მოთხრობილი აქვს ფართო საზოგადოებისთვის არაერთი უცნობი და ნაკლებად ცნობილი ფაქტი პავლე ინგოროყვას ცხოვრებიდან. გვიხმობთ რამდენიმეს: „1930 წლის ნოემბერს ჩაჭარდა სრულიად საქართველოს საბჭოთა მწერლების ფედერაციის საბჭოს მე-4 პლენუმი. მომხსენებელ სიმონ წევრავას მრისხანება თავს დაატყდა „არიფონის“ წევრებს: — ფედერაციის რიგებიდან უნდა გაირიცხონ „აკადემიკ“ წევრები — ტიციან ტაბიძე, პაოლო იაშვილი, გრიგოლ რობაქიძე.“

1931 წლის 17 მაისის სხდომაზე სიმონ წევრავამ ფედერაციიდან გარიცხულთა პირველი კაცებისთვის სია წარადგინა. გარიცხეს კონსტანტინე გამსახურდია, როგორც პოლიტიკურად მიუღებელი, რომელიც გამოქვეყნდა თავის ნაწარმოებებში.

პავლე ინგოროყვა გარიცხული იქნა, როგორც აშკარა რეაქციონერი და პროეკატორი მწერალი, რომელმაც ჯერ კიდევ ანტისაბჭოთა ჟურნალის — „კავკასიონის“ რედაქტორობის დროს ნათლად გამოამყვანა თავისი რეაქციული და ნაციონალისტური სახე. ამავე რეაქციული ხაზით ის საქმიანობდა აკადემიურ მწერალთა კავშირში და ეს საქმიანობა მან გამო-

ააშკარავა მწერალთა ყრილობებსა და კრებებზე გამოსვლებშიც თავის ანტისაბჭოთა დეკლარაციებით. პავლე ინგოროყვა იყო ქართული მწერლების რეაქციონული და შოვინისტური ნაწილის ორგანიზატორი და ხელმძღვანელობდა ასევე რეაქციულ „ქართული ნივანი“ გამომცემლობას, რომელიც წარმოადგენდა მისი ხელმძღვანელობის დროს საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ განწყობილ მწერალთა თავშესაფარს...“.

ხედავთ, ხომ? არაფერი შეარჩინეს. თან, როგორი დაჟინებით მეორდება — რეაქციონერი,

რეაქციონერი, რეაქციონერი... შოვინისტი... ანტისაბჭოთა, ანტისაბჭოთა... ამ დაჟინებულ განხორბასაც მეტი სიმძაფრისთვის იყენებდნენ. განაჩენი აბა რა არის, თანაც, საზოგადოებას უფლება არც ჰქონდა, სხვაგვარად შეეფასებინა პავლე ინგოროყვას პიროვნება და მოღვაწეობა — ამბობს როსტომ ჩხეიძე.

მე, ჩემი მხრივ, დაეშინებოდა — სადისტურ საიმოვნებას ვგრძნობდ ამ სიტყვების ავტორებს პავლე ინგოროყვას რეაქციონულ, ანტისაბჭოთა ელემენტად მოხსენიება. მასხენდება, უშიშროების არქივზე მუშაობის დროს, მიხეილ ჯავახიშვილს და კონსტანტინე გამსახურდიას სწორედ ამგვარი ეპითეტებით ამკობდნენ პროეტყულტუტებით. მიხეილ ჯავახიშვილს ამით ბოლო მოუღეს და ფიზიკურად გაანადგურეს. საბედნიეროდ, პავლე ინგოროყვა და კონსტანტინე გამსახურდია გადაარჩნენ...

1934 წელს დიდი ზარზემით ჩატარებულ მწერალთა პირველი საკავშირო ყრილობისთვის ქართული ლიტერატურის შესახებ მოხსენების მოზრდილი და განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ნაწილის დანერა — „ნაციონალისტი“, „რეაქციონერ“, „შოვინისტი“ პავლე ინგოროყვას დაევალა. როსტომ ჩხეიძე გაცემულია — პავლე ინგოროყვამ, მოხსენება ისე დანერა, როგორც სვეტროდა.

ერთი სიტყვით, პავლე ინგოროყვა კვლავ თავის უბედური ქვეყნის და მწერლობის ინტერესებს ყოველთვის და ყოველგვარ გარემოებაში განუხებულად და უშიშრად იცავდა.

პავლე ინგოროყვამ ხანგრძლივი შესწავლა-კვლევის შედეგად 1939 წელს მიაკვლია ხეთური იეროგლიფური დამწერლობის გასაღები. ამ საკითხზე ლექციის წაკითხვა მოინდომა, მაგრამ, დაპირების მიუხედავად, არ წაკითხეს. გული არ გაუტეხია, ხეთურ ტექსტებზე გააგრძელა მუშაობა და, აი, შედეგი: ყურადღება მიაქცია იდეოგრამა-სიმბოლოს, რომელიც აღნიშნული იყო ცნება: „აღვაშენე“, გამოარჩია იმიტომ, რომ ეს სიმბოლო წარმოადგენდა განმოსახლებლას ხელისას სახურთმოძღვრო იარაღით — გონითი. იდეოგრამის მიწარასის მიხედვით სიმბოლიკა ნათელი იყო. გამიფრულმა ტექსტის ანალიზმაც ეს დაადასტურა. ერთი სიტყვით, ხეთური სახელმწიფო ალიგავა მინისაგან პირისა, მაგრამ სიმბოლიკა შემოინა ძველ საქართველოში. და რაზე — სვეტიცხოვლის ტაძარზე.

როსტომ ჩხეიძე ყოველივე ამას მოუთხრობს მკითხველს და მაკვიფრებს ჩანს — მწერლობის და მეცნიერ ტალანტი, როგორ პარმონიულად და შერწყმული მასში.

როსტომ ჩხეიძესა და მისი რომანის გმირებს შორის, მიუხედავად დიდი ასაკობრივი განსხვავებისა, სულიერი ერთობა თუ ნათესაობა აკავშირებს, რაც აძლევს სტიმულს ავტორს, პავლე ინგოროყვას ცხოვრება წარმოდგინოს რეალურად და ცოტა რომანტიულ ფერებშიც.

ისე კი, ისტორიული რომა-





მიმდინარე წელს 100 წელი შესრულდა ცნობილი ქართველი ისტორიკოსის, პუბლიცისტის, საზოგადო და პოლიტიკური მოღვაწის, ალექსანდრე ყიფშიძის (ფრონელის) გარდაცვალებიდან. მისი დამსახურება ქართველი ერის წინაშე განუზომელია. იგი ერთ-ერთი პირველთაგანი იყო, რომელიც იკვლევდა ქართველი ხალხის ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობასა და ანტიკოლონიური ბრძოლის ისტორიას. იგი იმ ადამიანთა რიცხვს ეკუთვნის, რომლებიც, წლების განმავლობაში, მესხეთში ცხოვრობდნენ და იღვწოდნენ მოსახლეობის კეთილდღეობისათვის. მან თავისი საზოგადოებრივი მოღვაწეობით დიდი წვლილი შეიტანა და განსაკუთრებით ნათელი კვალი დაამჩნია სამცხე-ჯავახეთში მოსახლეობის კულტურულ დანიშნულებას, რაც იმ დროს ძალზედ აუცილებელი და საჭირო იყო ეროვნული ცნობიერების შესანარჩუნებლად.

ალექსანდრე ყიფშიძე XX ს-ის დასაწყისში – 1900-1904 წლებში, მსახურობდა მომრიგებელ მოსამართლედ ახალციხეში. ამ მცირე დროის მიუხედავად, მან ბევრის დანახვა და სიკეთის გაკეთება მოახსრო ადგილობრივი მოსახლეობისათვის. უპირველესად, უნდა აღინიშნოს, რომ ქართულ ჟურნალ-გაზეთებს მრავალი კორესპოდენცია მიანოდა ამ მხარის ყოფის, წარსულისა თუ ყოველდღიური პრობლემების შესახებ. შეიძლება ითქვას, რომ მან თავისი კორესპოდენციებით მთელ საქართველოს ახლოს გააცნო მისი საქმიანობა.

სამცხე-ჯავახეთში მოღვაწეობის პერიოდში ალექსანდრე ყიფშიძე აქტიურად იყო ჩართული საზოგადოებრივ ცხოვრებაში. აღნიშნულთან დაკავშირებით მეტად საინტერესო მასალაა დაცული სამცხე-ჯავახეთის ისტორიის მუზეუმში, – ილია მაისურაძის ფონდში. ილია მაისურაძე ერთ-ერთი წერილი – „ალექსანდრე ყიფშიძის დაბადებიდან 100 წლისთავის გამო“, აღნიშნავს, – „ალექსანდრე ყიფშიძემ ახალციხეში მსახურების პერიოდში ჩამოაყალიბა დრამატული დასი“ (ს.ჯ.ი.მ. ილია მაისურაძის ფონდი, N615, ი. მაისურაძე, დას. ლიტ.). აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ ახალციხის თეატრალურ დასში მოღვაწე მსახიობებს შორის იყვნენ როგორც ადგილობრივი მცხოვრებნი, ასევე საქართველოს სხვადასხვა რეგიონებიდან სამოღვაწეოდ ჩამოსული ინტელიგენციის წარმომადგენლები, რომლებიც თავიანთ ძირითად საქმიანობას სასცენო მოღვაწეობასაც უთავსებდნენ. მათ შორის იყო ალექსანდრე ფრონელიც (ი.მ.ფ. N435).

მესხეთის თეატრის ისტორიის გააზრების საშუალებას იძლევა სამცხე-ჯავახეთის ისტორიულ მუზეუმში დაცული ფოტო მასალაც. განსაკუთრებულ ყურადღებას იყენებს ახალციხის დრამატული დასის ფოტოსურათი, რომელიც 1901-1906 წლებით თარიღდება. კერძოდ, სურათზე წარმოდგენილი არიან ინტელიგენციის წარმომადგენლები და მსახიობები (სცენისმოყვარულნი): ოლღა აბულაძე, ევგენია სვანელი, იოსებ ბეტუბაგოვი, ანა მალაონი (მესხია) ნინო ლაზიჩვი (ლაზიჩვილი), მარიამ გამრეკელი, ბარბარა ლოლობერიძე (გამრეკელი), სამსონ ლოლობერიძე, ბარბარე ოქროპირიძე, ალექსანდრე ყიფშიძე, თეიმურაზი ვილი, პავლე ბუთკოვსკი, ლეთისამილი (ჭურჩ). „თეატრალური მოამბე“, 1975: N5)

ახალციხეში მოქმედმა დასებმა ალექსანდრე ფრონელის ყურადღება მისი ჩამოსვლისთანავე მიიპყრო. განსაკუთრებით აღსანიშნავია მისი ერთ-ერთი კორესპოდენცია, რომელიც მრავალ საინტერესო ინფორმაციას შეიცავს. ავტორი მიუთითებს, რომ ახალციხის ქალთა სკოლის სასარგებლოდ სამოქალაქო კლუბის დარბაზში გაიმართა ჩვეულებრივი წარმოდგენა, – მოყვარულთა გუნდმა შეასრულა „გაცრუებული იმედი“ – თხზულება აზიანისა. როგორც კორესპოდენციიდან ირკვევა, იგი იყო ერთ-ერთი მაყურებელთაგანი და აღფრთოვანებული წერდა: „პიესა ისე რიგანდა, მწყვერად, გააძვი-

რით შეასრულეს მოყვარულთ, რომ გამოტყობილი ვიყავი, ხშირად ჩვენ პროფესიონალურ არტისტებსაც გაუჭირდებოდათ ამ გვარად პიესის თამაში – განა ეს გასაოცარი არ არის საქართველოს მივარდნილ კუთხეში? მარტო ის რადა ღირს, რომ ყველამ როლები შესანიშნავად იცოდა და სიტყვებს და ფრაზებს ისე არ ამახინჯებდნენ, როგორც ამას მიჩვე-



ურთიერთობაც. რამდენადაც როზა ალელიშვილი მიმართავს თხოვნით, რომ ურჩიოს, იკისროს თუ არა სამკითხველოს გამგეობა: „მთავაზობენ სამკითხველოს გამგეობა ვიკისრო, რაკი მეფისაშვილის ქალი უარს ამბობს თავის თანამდებობაზე. მე ვერ გამოვიდია მაგისთანა თანამდებობის მიღება, რაკი მთავრობის წინ პასუხის გება ჩემზე იქნება. თქვენ რას ირჩევთ, თქვენ უფრო იცნობთ მაგ საქმეს. ამისთვის თქვენ მოგმართეთ, მოვიკიდო ხელი თუ არა? მე თქვენ დიდსულოვან ადამიანად ვიგნობო და ამისთვის ნება მივეცი ჩემს თავს თქვენი შენუხებისა. იმედა შესწუხდებით და ორიოდ სიტყვით მიპასუხებთ“ (ს.ჯ.ი.მ. ილია მაისურაძის ფონდი, N 269, 1904).

როზა ალელიშვილი ალექსანდრე ყიფშიძისადმი მიწერილ წერილში, რომელიც 1905 წლის 19 თებერვლით თარიღდება, კვლავ აცნობს მას ახალციხის თეატრალური ცხოვრების მიმდინარეობას. ატყობინებს, რომ წარმატებით დადგეს წარმოდგენა „დაძმა“. ამასთანავე, შენუხებისათვის უხდის ბოდიშს: „თქვენგან გამოგზავნილმა პიესებმა სულზე მოგვისწრო. მომიტევეთ, რომ ესე თამამად ვებედავ თქვენს შენუხებას. ბოდიშს გიხდი, რაკი გვერდი ვეღარ ავუქციე საზოგადო საქმეს. ამიტომ, კიდევ ძალა დავატანე ჩემს თავს და შეგასუხე“.

## ალექსანდრა ყიფშიძე (ფრონელი) და მესხეთი

(გარდაცვალებიდან 100 წლისთავის გამო)

ულია ტფილისის სათეატრო პუბლიკა. უხერხულად მიგვანჩია გარჩევა თვითული მოყვარულის თამაშის, მაგრამ იმას კი ვერ დავამალავთ, რომ ზოგიერთის თამაში თითქმის ხელოვნური იყო. სწორედ მოსალოცია აქაური ქართველობა, რომ თავის შორის ასეთი გუნდი მოეპოვება, მერმე, ისიც სიყვარულით გამსჭვალული კარგისა და საეროვონ საქმისადმი“ (ვაზეთი „ივერია“, 1902: N277). ე.ი., ალექსანდრე ფრონელის აღფრთოვანება გამოიწვია მსახიობთა მიერ მაღალ პროფესიულ დონეზე როლების შესრულებამ. შეიძლება თამამად ითქვას, რომ მისი ასეთი შეფასება იყო ახალციხის თეატრალური დასის დიდი აღიარება. იმ დროისათვის დასს უკვე სამი ათეული წლის გამოცდილება ჰქონდა და ამ ხნის განმავლობაში შესძლო პროფესიული დახელოვნება, გარკვეული წარმატებების მიღწევა და ქართულ თეატრალურ საზოგადოებაში თავისი ადგილის დამკვიდრება.

ისიც უნდა აღინიშნოს, რომ სამცხე-ჯავახეთის ისტორიული მუზეუმის ხელნაერთა ფონდში ინახება როზა ალელიშვილის ალექსანდრე ყიფშიძისადმი გაგზავნილი სამი წერილი (ს.ჯ.ი.მ. ი. მაისურაძის ფონდი, N 269). როგორც ამ წერილებიდან ჩანს, ახალციხელი სცენის მოყვარულნი ალექსანდრე ყიფშიძესთან თანამშრომლობა-ურთიერთობას აგრძელებდნენ მისი თბილისში გადასვლის შემდეგაც: „დარბაზუნებულნი ვარ არ გექნებათ ჩვენი ახალციხე დაინწყებული. ჩვენ გვინდა აქაური სამკითხველოს და ღარიბ მოსწავლეთა სასარგებლოდ დაგვედგა რამ წარმოდგენა“ – წერდა როზა მღებრიშვილი-ალელიშვილისა.

როზა ალელიშვილი მოახსენებდა, რომ იქამდე მუშაობდა ბათუმის თეატრში და ნაკლებად იყო გარკვეული ახალციხის საქმიანობებში. ამიტომაც წერდა: „სახელოდობ, მე ვერას მოგწერეთ, რა პიესებსა კარგი. რაკი მე მოკლებული ვიყავი ქართულ წარმოდგენებს. თქვენ უფრო კარგად იცით, რომელი პიესა უფრო მიიზიდავს ახალციხელებს. იმედი მაქვს, საქაროდ მოგვაშველებ პიესებს და მაგით გამოაფხიზლებთ ჩვენ მიძინებულ ახალციხელებს“. ამასთანავე, იგი დეტალურად აცნობდა დასის საქმიანობას. აღნიშნული წერილებიდან, გარდა საზოგადოებრივი თანამშრომლობის, კარგად ჩანს მათი მეგობრული



როგორც წერილებიდან ჩანს, როზა ალელიშვილი დიდ მზრუნველობას იჩენდა სცენისმოყვარეთა დასის საორგანიზაციო საკითხებში, ზრუნავდა – დასს დროულად ჰქონოდა პიესები და არ შეფერხებულიყო მისი საქმიანობა. ამასთანავე, სპექტაკლი რომ წარმატებული ყოფილიყო და საზოგადოების მოწონება დაემსახურებინა, ხშირად მიმართავდა ალექსანდრე ყიფშიძეს საჭირო რჩევისათვის: „ამჟამად დასი მუშაობს „თამარ ცბიერზე“, მაგრამ თქვენი დახმარების გარეშე გავეჭირდებო. ზოგიერთი მიზეზი ხელს გვიშლის. მაგალითად ის, რომ თამარ როგორი ტანსაცმელი ან გვირგვინი უნდა, არ ვიცით. მასხარას როგორი ტანსაცმელი უნდა? თუ ამასაც შეგვტყობ და მოგვენერ, საუკუნოდ დავგავალებ“ (ს.ჯ.ი.მ.ფ. N 172, 1905).

ალექსანდრე ყიფშიძემ ასევე უდიდესი სამსახური გაუწია ანა ლოლობერიძე-მუსხელიშვილის მიერ დაარსებულ ახალციხის ქალთა სკოლას. იგი 1900 წელს ახალციხეში „საქველმოქმედო საზოგადოების“ ქალთა სკოლის გამგედ დაინიშნა. სკოლაში ახლად მისული, ილია ჭავჭავაძეს სწერდა: „წარსული თვის 22-ს მოხდა ჩვენი „ახალციხის საქველმოქმედო საზოგადოების“ კრება, რომელზედაც მე ამომირჩიეს მდივნად და ხაზინადარად. წესდების თანახმად, ეს ორივე სკოლის მმართველიც უნდა იყოსო. შეკრებისას კრებამ გადაწყვიტა ბატონ აკობ გოგვაძევილს გამოუცხადოს პიესის

საშუალებით მადლობა, რომ შემოსწრა სკოლას 30 „ბუნების კარი“. იმედი მაქვს თქვენც არ დაიზარებთ დახმარებას, რჩევის მოცემას. გამოგვიგზავნეთ უპირველეს ყოვლისა ინსტრუქციები, სახელმძღვანელოები, სასწავლო გეგმა 1881 წლის სასწავლებლო ოქმისა. კიდევ მეოთხეები. თეორიული განმარტებანი და სხვა. აზრად მაქვს, მეც სკოლის ისტორია დავებეჭდო და იქნებ, რომ გაიგებენ ამ სკოლის არსებობას, დახმარებას აღმოვიჩვენო მანდაური ქართველები. ეს სკოლა ერთადერთი ზღვრის აქაური გამჭრალი ქართველებია. სირცხვილია, მანდაური ღონიერი ქართველებია, რომ ხელს არ გვიწვდიდნენ. თქვენ უნდა დაგვეხმაროთ ამ მხრივ“ (კ. კეკელიძის სახ. ხელნაერთა ინსტიტუტი, N517).

1904 წელს, მას შემდეგ, რაც მოუწია ახალციხის დატოვება, იგი ყურადღებას არ აკლებდა დედათა სკოლას. ხელფასის ნახევარი სკოლისათვის ჰქონდა მიცემული და შენობის გეგმის დამტკიცებამდე დაეხმარა (გ. ლეონიძის სახ. ლიტ. მუზეუმში. აღ. ყიფშიძე, ფ. 6, N1601).

ალექსანდრე ყიფშიძე სამცხე-ჯავახეთში მოღვაწეობის დროს საფუძვლიანად გაეცნო მის წარსულსა და აწმყოს, რის საფუძველზეც 1914 წელს გამოცა ისტორიული მონოგრაფია „დიდებული მესხეთი“. მასში

ბული, მას საზოგადოებისათვის უნდა გაეღვივებინა მესხეთისადმი ინტერესი: „ერთადერთი საბაზი და მიზეზი ამ კრებულის დაბეჭდვისა, სწორედ ისაა, რომ მოაგონოს ქართველს – დროა, ვიფიქროთ და ვიზრუნოთ სამშობლოს ამ კუთხეზე, რომელმაც გვაჩუქა კანონმდებლნი: ბექა და ალბულა, შეუდარებელი შოთა, ღვთისმეტყველნი: ექვთიმე და გიორგი და ნეტარი მამა გრიგოლ ხანძთელი, ეს საკვირველი მნათობნი ქართველი სინასნი“ (იქვე, გვ. 17-18).

ალექსანდრე ყიფშიძე სამართლიან გულისწყრომასა და კვიცილს გამოხატავდა ქართველებისაგან ხელოვნურად დაცლილ სამცხე-ჯავახეთზე და მათ ადგილზე სხვა ხალხის დასახლებაზე იმ დროს, როცა შორაპნის მაზრასა თუ რაჭაში უმიწაწყლობით სული ჰხდებოდათ მკვიდრთ. მას ცხარე და დასაბუთებული კამათი ჰქონდა სომხ ისტორიკოსებთან – ეზოვთან და პატკანოვთან 1899 წლის ჟურნალ „მოამბეში“, რომლებიც სრულებით ბუნებრივად და სამართლიანად სთვლიდნენ საქართველოში უცხო ტომის დასახლებას იმ დროს, როცა აქაური მიწა-წყალი აღარა ჰყოფნიდათ თვით ქართველებს. „დიდებული მესხეთი“ ავტორმა საზოგადოებას დაანახა ამ კუთხის მართლაც დიდებული წარსულიც და იმ პერიოდში მისი სასიცოცხლო პრობლემებიც.

ალექსანდრე ფრონელი ცდილობდა, მხარში დადგომოდა სამცხე-ჯავახეთის დაჩაგრულ

მოსახლეობას და ძალ-ღონეს არ ისურვებდა მათი პრობლემების მოგვიწვებლად.

მიმდინარე წლის 29 ივნისს შესრულდა ღირსეული მამულიშვილის გარდაცვალებიდან ასი წელი. ვფიქრობთ, განეული ამავის წლის იმსახურებს, რომ სამცხე-ჯავახეთის მოსახლეობამ პატივი მიაგოს მის სსოვნას.

### ნატო ყრუაშვილი

**რედაქციისათვის:** სრულიად ვეთანხმებით ქალბატონ ნატო ყრუაშვილს, რომ სამცხე-ჯავახეთის მოსახლეობა ვალშია ცნობილი საზოგადო მოღვაწის ალექსანდრე ყიფშიძის (ფრონელის) სახელის წინაშე, რომელმაც ფასდაუღებელი ღვაწლი დასდო ამ მხარეს და განსაკუთრებით მნიშვნელოვანი წიგნი – „დიდებული მესხეთი“ დაუტოვა მადლიერ შთამომავლობას, რომელსაც ვერცერთი მკვლევარი გვერდს ვერ უვლის მე-20 საუკუნის დასაწყისის მესხეთის კვლევების დროს.

ამიტომ, მიზანშეწონილად მიგვაჩნია, ამ საკითხით დაინტერესდეს ქახალციხის მერია და ახალციხის ერთ-ერთ ქუჩას მიანიჭოს ალექსანდრე ყიფშიძის (ფრონელის) სახელი. რაც ნამდვილად აუცილებელია მისი სახელის უკვდავსაყოფად.

დაინტერესებულ მკითხველებს ვატარებელი ღონისძიებების შესახებ დამატებით მივანვებით ინფორმაციას.

ავტორს მიაჩნდა, რომ ნაშრომს უდიდესი მისია ჰქონდა დაკისრე-

# კორფილა ოქროველიძე

(დასასრული. დასაწყისი №2-6, 2016)

ურავლის საბჭოში გაველით. ეზოში ფიჭვის ხე დგას ერთი. მე მასზე მიმაკრეს თოკით, თვითონ კი შენობაში შევიდნენ. ჩემ სოფელელთაგან არავინ გამომყოლია, ჩემთვის მდევრებად კი აქციეს ის საბრალონი.

ეზოში სოფელმა მოიყარა თავი. მასსოვს მათი გაკვირვებულობა, განცვიფრებული სახეები. ადვილად გავარჩიე ქართველები და მუსლიმები ერთმანეთისგან. მერე შენობიდან გამოვიდა ერთი ტანმორჩილი, საშუალო ასაკის კაცი მათრახით ხელში და უმაღლესივე გამოემართა. მივხვდი, ჩემს თავს რაც მოხდებოდა და დაიწყე და რა დაიწყე — გამოლტვა ჩემი. მირტყამდა ყველგან, სახის გარდა. მერე გაჩერდა და თვალებში ჩამაქცქერდა. სიმწრით მეღიმება. ამან გააღიზიანა ის და... — დამცინი, შე მობელქალო, — შემომბახა. — აჰა, კიდევ, შე პიტლერის ნაბუშაოო.

ამასობაში ეზოში მანქანა შემოვარდა, საიდანაც ოთხი ჩეკისტი გადმოვიდა. ჩემი დამსჯელი შეჩერდა. ამან გადამარჩინა უარესს. მოსულებმა ამხედ-დამხედეს, დამაკვირდნენ და შენობაში შევიდნენ.

ცოტა ხანში ხელმეპყრული ჩამსვეს მანქანაში და ჩეკისტებთან ერთად ახალციხის მიმართულებით დაიძრნენ. ვიდრე „ოხრის“ ეკლესიას მივაღწევდით, ვიარებ, თავით დავებტაკები მძლოლს, მართვას ავურევ და ხევი გადავაგდებ მანქანას მეთქი. აღარ დავეძებდი შესაძლო ტრაგიკულ შედეგს, თუ კი დავიღუპებოდი. მე სხვა რამ მიემდებოდა, — იქნებ კიდევ ერთხელ მეცადა ბედი, გაქცევით.

ასეთ ფიქრებში ვარ და აყვირდა ერთი ჩეკისტი: — გააჩერე მანქანა, გაქცევა უნდა, ამის დედაც. ჩქარა თოკი. ფეხები შეუკარიო.

მანქანა გაჩერდა და ფეხებიც შემიკრეს. ბიჭოს! რა იყო ეს, როგორ წაიკითხა ჩემი აზრები იმ ჩეკისტმა. რა სკოლა გაიარა, სად აითვისა სხვისი აზრების კითხვის ასეთი მეთოდი. თუ ეს ბუნებრივი ნიჭის ნყალობა იყო, მხოლოდ. ან კი, რა მეტყობოდა გარეგნულად ისეთი, ფიქრით რომ გამოიხატა ჩემი მიზანი.

სალამოს უკვე ახალციხის შინსახკომის იზოლატორში ვიყავი. ეს არ იყო კამერა. ეს უფრო ჯურღმული იყო თავისი ყველა ატრიბუტივით, სიღამპლის, ვორთების, ტალახის, სიზნელის, უპაერობის საუკეთესო ნიმუში. მოვივანებით შემოიყვანეს შოთა ლომიძე. თითქმის სამი კვირის მერე პირველად მომეცა საშუალება ადამიანთან დალაპარაკებისა. მასაც მიმიე საქმე ედებოდა ბრალოდ და ჩვენი საუბარი აქედან როგორმე გასვლას ეხებოდა, რადგან ვგრძნობდით, სიკვდილით დასჯა არ აგვეცდებოდა.

ამ დღეებში სიკვდილზე ფიქრმა სულიერად გამომფიტა, გამანადგურა. ამას დაემატა ისიც, რომ აღმოჩენილ იქნა ჩვენი ორგანიზაციის დოკუმენტური მასალები: ოქმები, პროკლამაციების ნიმუშები, წესდება, პროგრამა და სხვ. თუ მანამდე ყველაფერს ვუარყოფდი, ეხლა ფაქტები წინ დამიდეს. ყოველ ასეთ უარყოფას კი შესაბამისი რეაგირება მოსდევდა გამოძიების მსვლელობისას. ეს იყო ადამიანის ნაშეპის მრავალფეროვანი, კარგად დამუშავებული მეთოდები.

ახალციხის შინსახკომის უფროსი მაშინ ბაბუნაშვილი იყო. მისი სიმკაცრე ბევრისთვის ცნობილია, რამაც ჩემს თავზეც გადაიარა. უბედურება ის იყო, რომ არა თუ ტყუილის, ჩემი სიმართლისაც აღარავის სჯეროდა. მეკითხებოდნენ ლეო კურსელიძის შესახებ, თუ საიდან მქონდა მასთან კავშირი. რა კავშირი ვიყავი მალაშვილიან, გ. ივანიშვილთან. რა უნდა მეთქვა, როცა მათთან არანაირი კავშირი არ მქონია.

შინსახკომმა შეძლო და ჩვენი იარაღიც აღმოაჩინა. ეს იყო თოფები. ძიება უფრო გართულდა. ეჭვი ჰქონდათ, რომ სხვაც გვექნებოდა.

დაგვაპირისპირეს მე და ძია ლევანი, თუმცა მათთვის სასურველი შედეგები ვერ მიიღეს. ლევანი უკვე საკმაოდ დაუძლურებული მჩვენა, ნაშეპის კვალი მასაც ემჩნეოდა სახეზე და ხელებზე.

თითქმის, ოცი დღის განმავლობაში, ციხის ბალანდაზე ვიყავი. მერე გადამიყვანეს თბილისში, ორთაჭალის ციხეში, გუბერნსკში, 84-ე კამერაში. აქ იყო მერე რაც იყო, რეპრესიების მთელი კასკადი.

ფიზიკური ნაშეპის მერე, თუ რამე იქნებოდა კიდევ უფრო დამრთავუნელი და გამანადგურებელი, რას ნარმოვიდგენდი. „კამერა-კარადა“, — ასე ერქვა იმ კამერას, სადაც მხოლოდ ფეხზე დგომა იყო შესაძლებელი. შედგამ ფეხს და მორჩა, იტრიალუ საითაც გინდა, მაგრამ მუხლს ვერ მოხრი. დგახარ ასე, საათობით და არ იცი, რა ქნა. დამისივდა ფეხები, რასაც ტყვივლები მოჰყვამ და გაუძულ თუ ვაჟაკი ხარ. ტუალეტი მინდა, საშველი არაა. უძილობამ ხომ პირი გამომიშრო და სუნთქვა მიჭირს. თვალები დამისივდა. ასეთ მდგომარეობაში, 18-20 საათის განმავლობაში, რამდენჯერმე მინედა ყოფნა. მერე გამოყვავდი და ისევ ფეხზე მდგარი ვუსმენდი გამოძიებელს. არა, ვეღარ ვუსმენდი. ძირს ვეცემი და მინდა ასე ვვგდო გონასული, მაგრამ შედამხედველი უმაღლესი მოქმედებაში და მე ისევ ვიძლევი ვარ. ამის მიუხედავად, მათთვის სასურველ ჩვენებას არ ვძლეოდი. ფაქტები, რაც იყო, ისიც საკმარისია ჩემს უმკაცრესად დასასჯელად. გამოძიებლებისთვის საეჭვო იყო ყოველივე და,

ჩვენი ასაკიდან გამომდინარე, ვერ წარმოვადგინებ, რომ ჩვენი ინიციატივით იყო ის ქმედებანი, რაც ფაქტური მასალებით მტკიცებულებებს წარმოადგენდა.

ნაშეპის ეს მეთოდი ზოგიერთი გამოძიებლისთვის განსაკუთრებული იყო და მეც, პირველ ხანებში, დამეწყო ჰალუციონაციები, მოჩვენებები. მიუხედავად ამისა, რეპრესიული მანქანა გაჩერებას არ აპირებდა. მიმდინარეობდა უწყვეტი დაკითხვა შესვენების გარეშე. იცვლებოდნენ მხოლოდ გამოძიებლები. მასსოვს ერთი, ატამიანი, სომეხი, ეშმაკი და გაიძვრა გამოძიებელი. ტკბილი სიტყვით რომ ვერაფერს გახდა, შეტევაზე

## ფიჩრაბი დასასრუბს საკანოში



გადმოვიდა და მე მისგან, რამდენიმე დღის განმავლობაში, არ მომეკლებია ცემა რეზინის ჯოხით, სველი თოკით, მათრახით და, რა თქმა უნდა, ფეხით. ორჯერ საკანში გულნასული შემართივს. ფეხზე ვერ ვდგებოდი. ფეხის გულზე კანი აღარ მქონდა. მე ეს ერთი ვახსენე, მაგრამ ჯალათებს რა გამოლევდა.

ამ პერიოდში ჩემი ულუფა 300 გრამი პური და ერთი ქიქია წყალი იყო. ჩავენერე ცოცხალ-მკვდრებში. 85 კილოიანი, ჯანონი თავსავდა, თოვლი და კარაქი ჩამოუტანეთო. თანამებრძოლების ვერაფერი გავიგე. მხოლოდ ერთხელ, როცა დაკითხვიდან საკანში ჩაყვავდი, დაგინახე მორონ ოქრომელიძე. ალბათ, დასაკითხად გაყვანილი. მე მას ვაგძახებ, ჩემს მდგომარეობას ხომ ხედავ, არ დამალოთ არაფერი, თქვით, რაც იყო, თავს ნუ მოაკვლევინებთო.

ახალციხეში მომიხავეს დახვრეტა. დასახვრეტ საკანში ჩემი ყოფის ამბავი უკვე ვიამბედი. დასახვრეტა საკანიდან გამოსვლის შემდეგ, ანუ სამი თვის მერე, კარანტინში მამყოფეს. მერე გადამიყვანეს თბილისში, ოცდამეთერთმეტე კამერაში და ჩავიროცხე ცოცხალთა რიგებში ოცნლიანი სასჯელით. აქ შემხვდა ახალციხელი არუთ მალხაზიანი, რომლის მიერ გაზიარებული ორი კბილი ნიორი და ცოტა პური გახდა ჩვენი მეგობრობის საფუძველი, თუმცა, ციხიდან დაბრუნებამდე, მე ის არასოდეს შემხვდრია. ხუთი დღის მერე ჩავყვარეს „სტალინიანის ვაგონებში“ და ემელონმა გევი აღმოსავლეთისაკენ აიღო.

ჩვენს ვაგონში ორმოცდაათამდე პატიმარი ვიქნებოდით, ყველა კატეგორიის: კონტრები, ქურდები, ყაჩაღები და გაურკვეველი წარმომავლობის დამნაშავენი. აგვისტოს სიცხეში ვაგონებში აუტანელი მდგომარეობა შეიქმნა. დღისით სულ გვეზუთებოდა, ღამით სიცივე არ გვაძლევდა ძილის უფლებას. დასალევი წყალი საკმარისი არ იყო. გაჩნდა ავადმყოფობა, სწორედ სასმელი წყლის უვარგისობის გამო. ბევრმა, ისედაც დაუძლურებულმა პატიმარმა, ამას ვერ გაუძლო და გზადაგზა ბევრი მათგანი გამოაკვდა ჩვენს ვაგონს. არავინ იცის, სად და

როგორ დაიძარხნენ ის ცოდვის შვილები.

45 დღის მერე ემელონი მივიდა მანჯურის საზღვართან, ვლადიკავკაზში, სადგურ „სრედნი ბელასთან“. აქედან დაიწყო ჩემი კატორღული ცხოვრება. ყველაფერს ხარბად ვეცნობოდი. პირველი დღეები მძიმე ფიქრებში გავატარე. ნუთუ ეს იყო ამდენი ნაშეპის ბოლო, ნუთუ ეს იყო ჩემი ცხოვრების დასასრულის დასაწყისი, ნუთუ ეს იყო ჩემი საბოლოო ნავსაყუდელი?

ამ დროისათვის ბანაკებში გაბატონებული იყო ძალმომრეობა. გაურკვეველი წარმომავლობის და ჯიშის პატიმართა შორის ძნელი იყო თავის გატანა. მეშინოდა, არავის დავმონებოდი. ერთხანს ქურდები დამიხლოვნდნენ, მაგრამ, კვარაცხელიან რჩევით, მალე მივხვდი, რომ ჩემი ადგილი მათ შორის არ იყო.

ისეთი ატმოსფერო სუფევდა ბანაკში, რომ დამინებისთვის კაცის მოკვლას არ ერიდებოდნენ. არც მე გამოვდექი გამოწვლისი და სიმონ დოლიძის მიზეზით, ტაიგაში, თოხით თავი გავუჩუხე ერთ რუსს. მან სცადა დამეცირებინა დოლიძე და რუსული შოვინისტიური გრძობებით სერიოზული შეურაცხყოფა მიაცენა მას. დოლიძემ, თუმცა ვასცა საკადრისი პასუხი, მაგრამ მე მაინც ვერ მოვიტინე და არანაკლებ აღვზნებულმა, გავაკეთე ის, რასაც დღესაც ვნანობ. როგორც შემდეგ გაირკვა, ის რუსი განსაკუთრებულ ურთიერთობაში ყოფილა ბანაკის უფროსობასთან. აღნიშნულის გამო სასტიკად დამსაჯეს. ხელმეპყრულს, ზურგზე დაწოლილს, ოთხჯერ დამარტყეს მკერდზე ორფუთიანი ლოდი. ჩემი ასეთი მოქმედება საგულისხმო მაგალითი გამოდგა, რათა დანარჩენები რდიოთა და პატივისცემით მომპყრობოდნენ შემდეგში. სხვათა შორის, იმ რუსს თავის დროზე ბევრი ჰყოლია დაბეზრებული-დაჩაგრული და ამ მოქმედებით ბევრის გულიც მოვიგე. ამისათვის ერთმა უკრაინელმა ახალი „ბუშლატაც“ კი მაჩუქა. ის რუსი კი დიდ ხანს იყო მძიმე მდგომარეობაში ბანაკის ე.წ. საავადმყოფოში. როგორც შემდეგ გავიგე, მას მერე დიდხანს აღარ უცოცხლია.

ამ ბანაკში შევხვდი გაბუნას, ნამდვილ ქართველ ვაჟაკს, ვისთან ერთადაც გულუბრყველოდ ვფიქრობდი გაქცევაზე. საქართველოში დაბრუნებაზე, საერთოდ, ბანაკში მოხვედრის პირველი დღეებიდანვე პატიმრები იქიდან გაქცევის ფიქრი იბუდებს მხოლოდ.

მალე ეტაბით გავგვამხვენეს 16 კაცი, მაგრამ, რატომღაც, მე უკან დამაბრუნეს. მაშინ დავენერე ლექსი — „სხვის დედას“. დაუთმეგობრდი რუს მუჟიკს — ხალიკოსს. გაქცევა ვცაადე, მაგრამ ცეცხლი გავიხსენს ზურგში. გასანოვი და კარაივი მერე დამცინოდნენ, ჩვენც რომ ნაგვეყვანეთ გასაქცევად, ეხლა ყველანი გარეთ ვიქნებოდითო. აქ გავიცანი გიორგი ჯანელიძე.

1945 წელს, ქურდ-ყაჩაღებთან ერთად, გამოიშვეს კალიმაზი. ეს დიდი ტანჯვის მომასწავებელი იყო. იქ იყო ერთ-ერთი უმკაცრესი ბანაკი თავისი ბუნებრივი პირობების გათვალისწინებით. ამიტომ გზაში პატიმრებმა გადაწყვიტეს ვაგონის გატტება და გაქცევა. ამის შესახებ განაცხადა ატამიანი, თუმცა, მოხდა ინფორმაციის გაჟონვა. გარედან დავინყეს სროლა და დაგვიმორჩილეს. გადავიყვანეს სხვა ვაგონში. ჩამოვავართვეს ტანსაცმელი და შევიწყვიტეს კვება. ჩვენ ვყვიროდით, — გვიშველო, მაგრამ... სადღურებთან ხალხს აინტერესებდა ვაგონებთან მისვლა. მაშინ ტანკისტები გამოგვექომაგნენ, რატომ სტანჯავთ მაგ ხალხსო, მაგრამ უფროსობა ჩაერია და ჩვენ ისევ ვაგონში დავგრჩით მიშველ-ტიტველნი და მშვირ-მწყურვალნი. დღის ვაი-ვაგალახით ჩავედით ხაბაროვსკადა ციხეში. ორი დღის მერე გავგვამხვენეს შორეულ ჩრდილოეთში, ოხოტის ზღვის სანაპიროზე, „ბუხტა ნახოდკაზე“. აქ არსებულ ბანაკში თორმეტი ათასი პატიმარი იყო. ამავე დროს მოიყვანეს ინგლისიდან დაბრუნებული ტყვეებიც. ჩვენ, დამეპყრები პატიმრები დავვრჩით ამ უდანაშაულო ხალხს და დავუწყეთ ძარცვა. მე შემხვდა ერთი პატარა ბლოკოტი — სიმონ კილაძის დღიურებით. ის მე ირაკუნო ხუციშვილმა გადმომცა. დღიურებში კარგად ჩანდა, რომ მის ავტორს ბევრი ტანჯვა-ვაგება ჰქონდა გადატანილი. ბევრი მისი მოგონება მერე ლექსებად გაქცევი. ამ ყოველივეს დამატება ბუნების რისხვაც. ნამოვიდა კოკისპირული ნვიმბა, ადიდდა ციმბირის ერთი დიდი მდინარე და დამეპყრა ჩვენს ბანაკს. ფეხის დასადგმელი ადგილი არ იყო ზონიანი. სამი დღე და ღამე წყალში ვიდევით უსმელ უჭმელი, სხვაზე რომ არაფერი ვთქვათ, შემდეგ მდინარემ ნელ-ნელა დაიკლო და ჩვენც შევება მოგვეცა. ამ პერიოდში ჩვენი ბანაკის მახლობლად შემოვიდა გემი „დალსტროი“. ვინ ან რატომ, მაგრამ მალე ის გემი ააფეთქეს. დიდი ჩოჩქოლის მერე დამნაშავე მაინც ვერ ნახეს. ეს ფაქტი შემდეგში მე გამოვიყენე პირადი ინტერესების გამო, რომლის შესახებ ქვემოთ მოგიხსნებო.

ორი თვის შემდეგ ჩავყვარე გემ „ტოპოლი“ და შევეცურეთ ოხოტის ზღვაში. გაუფარეთ კამჩატკას, კურილის კუძულებს, შევედით ბერინგის სრუტეში და გავჩერდით იქ, რომელ ადგილსაც დავარქვით „ბუხტა კრესტა“. აქ ადამიანს ფეხი ჯერ არ დაეღდა. ასე განვიცხადე გემის კაპიტანმა. მოვხვდით ყველა სათვის უცხო სამყაროში. არ ვიცი, რისთვის დამოგვრეკეს აქ, ამ ჯოჯოხეთურ „სავანეში“.

ჩრდილოეთის მკაცრმა ბუნებამ ერთგვარი შიში და პანიკა გამოიწვია პატიმრებში. ყოველდღიური ქარბუქი, გაუსაძლისი სიცივე სიკვდილის მოახლოებას ნიშნავდა. ერთხელ, 45-ე კილომეტრიდან რომ ვბრუნდებოდით, გზაში ცხრა კაცი დაგვკარგეთ ქარიშხლის გამო. ნაშეპმა დავარა უბედურები. დანარჩენებმა, ხელაწაიღებულებმა კი, ძლივს მივაღწიეთ ზონანდე.

### ღმერთის საქმეში ახ ყნდა ჩაეხიო... (ზღაპარი)

იყო და არა იყო რა, იყო ერთი ღმერთი ქალი. მას ჰყავდა ორი ვაჟიშვილი. ერთ დღეს უფროსმა ვაჟმა აიღო დიდი თოკი და ტყეში წავიდა შეშის მოსატანად. ტყეში მუშაობის დროს ბიჭს შემოაღამდა და სიბნელებში გზა დაკარგა. გვიან, როგორც იქნა, დაინახა ცეცხლი. ბიჭი ახლოს მივიდა და ნახა, რომ ცეცხლთან ზის ერთი ღმერთი მოხუცებული კაცი და ჩხირით ნაცარს ქექავს. ბიჭი მივსალმა და უთხრა: გზა ამებნა და ამაღამ შენს ცეცხლთან გამათენებინეო. მოხუცმა სალაშზე სალმითვე

უპასუხა და გვერდით მოისვა. ცოტა ხნის შემდეგ მოხუცმა უთხრა ბიჭს: მე ცაში ვერაფერს ვხედავ და ერთი შენ მითხარი, ხვალ როგორი ამინდი იქნებაო? ბიჭმა ახედა ცას და უთხრა: — ცა მონმენდილია და ხვალ ამინდიც კარგი იქნებაო. მოხუცმა ჩხირი ატაკა ბიჭს ფერდში და ვირად გადააქცია. ეს ვირი ხეზე მიბაბა და ისევ ცეცხლს მიეფიცხა. ბიჭი სახლში რომ ვერ დაბრუნდა, მეორე დღეს პატარა ძმა წავიდა ძმის საძებნელად. ამასაც ძმის ძებნა-ძებ

ნაში შემოაღამდა და ისიც ბოლოს იმ ცეცხლთან მივიდა, სადაც მოხუცი იყო. მოხუცმა ჰკითხა: რა იყო, შენც გზა ხომ არ აგებნაო? ბიჭმა უპასუხა: — არა, ძმა დავკარგე და ვეძებო. მოხუცმა ისევ უთხრა: — სად წავა, ალბათ, მალე გამოჩნდებო. ცოტა ხნის შემდეგ ამ ბიჭსაც ჰკითხა: აიხედე ცაში და მითხარი, ხვალ როგორი ამინდი იქნებაო. ბიჭმა მაშინვე უპასუხა: რად უნდა ახედე, ეს ღმერთის საქმეა და როცა უნდა იწვივებსო. მოხუცს მოერწა ბიჭის ნათქვამი

და უთხრა: აგერ მყავს ვირი, წაიყვანე დილაზე და შენი ყველა საქმე მოაგვარეო. ოღონდ, იცოდე, ერთი წლის შემდეგ ისევ აქ მომიყვანო. დილით ბიჭმა წამოიყვანა ვირი, ტყვიან მთელი წლის სანავი შეშაც გამოიზოდა, ამ ვირითვე დაამუშავა თავისი ნაკვეთები და კარგი მოსავალიც მოიწია. წლის თავზე კი მიუყვანა მოხუცს ვირი და მადლობაც გადაუხადა. მოხუცმა თავისი ჩხირი ისევ ატაკა ფერდში ვირს და ისევ ადამიანად გადააქცია. ბიჭმა შეხედა თუ არა თავის ძმას, სიხარულით ცას ეწია. მოხუცმა კი უფროსი ძმა დაარიაგა:

დღეის შემდეგ იცოდე, — ღმერთის საქმეში არ უნდა ჩაერიოო. ჭირი იქა, ლხინი აქა, ქატო იქა, ფეჭელი აქა. ციდან სამი ვაშლი ჩამოვარდა: ერთი მოქმელსა, ერთი მსმენელსა, ერთიც ამ ამბის დამწერსა. მთქმელი **იაკობ თელიაშვილი,** 79 წლის, სოფ. ვალე, ჩაიწერა **წონა თელიაშვილმა 2016** წელს

ალბათ, იშვიათია მსოფლიოში ისეთი ქვეყანა, სადაც იმდენი ეროვნების ადამიანი ცხოვრობდეს, რამდენიც საქართველოში. ქართველები ყველა დროსა და ყველა ეპოქაში ეროვნული უმცირესობების მიმართ ყოველთვის ტოლერანტობას იჩენდნენ და, რაოდენ სამწუხაროა, რომ ხშირად ჩაგვიჩინებენ და ტოლერანტობისკენ მოგვიწოდებენ ისეთი ადამიანები, რომელთაც ტოლერანტობის არა გაეგებთ და რაც, რაც შემთხვევაში, არაფრისგან მათთვის სასურველ სიტუაციებს ქმნიან, რათა პირადი ცხოვრება გაიმჯობესონ, ქვეყნის ინტერესებს არა და დაიდევნენ...

ქართველი ერი, დღიდან თავისი არსებობისა, ჯაჭვგაუხდელი, ყოველთვის მტერთან ბრძოლაშია, სისხლს ღვრის, მაგრამ მშვიდობიანობის ჟამს, არასოდეს ყოფილა შემთხვევა, ეთნოკომპლიქტური სიტუაცია რომ შეექმნას. ხალხური ზებირისტიყვიერების არაერთი ბრწყინვალე ნიმუში ცხადყოფს და ბევრი ქართველი მწერალი თავის ნაწარმოებებშიც შესანიშნავად აღწერს ქართულ ხასიათს, მის სტუმართმოყვარეობას, უცხოელად მიპატივისცემას, შემყნარებლობას... ამის ნათელი დასტურია თუნდაც „ლექსი ვეფხისა და მოყმისა“, დიდი ვაჟას „სტუმარ მასპინძელი“. ქართველმა კაცმა იცის, რომ მის გვერდით მცხოვრები ეთნიკური უმცირესობები მათი გაჭირვების თანამოზარეული არიან და, ამიტომ, ყოველთვის, მათთან კიდევ უფრო დაახლოებისათვის მეგობრობის ხიდებს აგებს, ხოლო ნამდვილი მტრები, რომელნიც ჩვენი სამშობლოს განადგურებას ლაშობენ, თავიანთი გამარჯვების მთავარ იმედს, ჩვენივე მოყვასის ჩვენდამი მტრად გადაკიდებაში ხედავენ – ძმა ძმისთვისაც ხშირად დაუპირისპირებიათ, მაგრამ ჭეშმარიტ აზრს, უმეტესწილად, გაუმარჯვია და ურთიერთსიყვარულითა და პატივისცემით ბაბილონის გოდოლიც ერთად დაგვიბერვია.

ახლაც, როდესაც მსოფლიო ახალ-ახალი გამოწვევების წინაშე დგას, უფრო მეტი გულისყური და სიფხიზლე გვმართებს, რათა „მტერმა არ გაიმარჯვოს ჩვენზედა“, – სიყვარულით აშენებული და განმტკიცებული ურთიერთობა არ მოგვიშალოს ისე, როგორც დაგვიბერვს და გავგინადგურეს საკუთარ ძმებთან – აფხაზებთან და ოსებთან ურთიერთობაში.

ეროვნებათაშორის ურთიერთსიყვარლის სამსახურში განუხრელად დგანან სულიერების მსახურნი – შემოქმედებითი ინტელიგენცია და მადლობა უფალს, ღირსიულ პოზიციებზე იკავებენ, ხალხთა შორის მეგობრობა და ურთიერთობა, საქართველოში მცხოვრებ უმცირესობათა უფლებები და ინტერესები სათანადოდ რომ იქნას დაცული, რათა ერთობლივად შევძლოთ დამოუკიდებელი საქართველოს შენება და მშვიდობიანი თანაცხოვრება.

მწერალს ძალუძს მართალი სიტყვა მიიტანოს თავის მკითხველთან და ადამიანებზე განსაკუთრებული ზეგავლენა მოახდინოს.

სწორედ საზოგადოებასთან მწერლის ურთიერთობას ემსახურებოდა ახლახან საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს მიერ მოწოდებული შესანიშნავი ღონისძიება – „მრავალფეროვანი საქართველო“, რომლის პროექტის კურატორია ამავე სამინისტროს ხელისუფლების და განათლების დეპარტამენტის სპეციალისტი ალექსანდრე გრიგალაშვილი.

მასშტაბური ღონისძიებაზე, რომელიც ქალაქის კულტურის ცენტრში გაიმართა, მონაწილეები იყვნენ ცნობილი ქართველი, სომეხი მწერლები და მთარგმნელები. ღონისძიება ორგანიზებულად დაინიშნა, საპატიო სტუმრებთან შესახვედრად თავი მოიყარეს მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლების მოსწავლე-ახალგაზრდობამ, ქალაქის მოსახლეობის მნიშვნელოვანმა ნაწილმა.

სტუმართა ყურადღება მიიქცია კულტურის ცენტრში მოწყობილმა ხალხური რენვის ოსტატთა ნაშუქების, მოწვეული და მისვა ცნობილი მწერლების ახალი ნივთების გამოცენამ; ამავე დღის მოყვანილობის „მესხური ფოლკლორის“ პირველი ტომის (შემდგენელი რედაქტორი ავთანდილ ბერიძე) წარდგინება, რომლის ავტორებია ნიკოლოზ მინისტრის ნარმო-მადგენელი სამცხე-ჯავახეთში არტემ მელქონიანი, გაზეთ „ლიტერატურული მესხეთის“ რედაქტორი ავთანდილ ბერიძე, სამცხე-ჯავახეთის გუბერნიის კანცელარიის მმართველი ქეთევან მემუღლაძე და სხვ.

ღონისძიებას უძღვებოდა პროექტის კურატორი ალექსანდრე გრიგალაშვილი, რომელმაც საინტერესოდ და დამაჯერებლად ისაუბრა ეთნიკური უმცირესობების კულტურული ინტეგრაციისა და ურთიერთობებზე. მანვე მაყურებელს წარუდგინა მოკლემეტრაჟიანი ფილმი, რომელიც ქართულ-სომხურ საყოფაცხოვრებო ურთიერთობებს ეხება.

მუსიკალურმა ჯგუფმა, თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის რექტორის რეზო კიკნაძის ხელმძღვანელობით, წარმოადგინა რამდენიმე ნომერი, ხოლო რესპუბლიკური კონკურსების ლაურეატმა, ახალქალაქის №2 საჯარო სკოლის მე-4 კლასის მოსწავლემ ანაიდ სტელმაშოვამ დააძვინკარა თანაკლასელმა მარია ალასარიანმა ფორტეპიანოზე ბრწყინვალედ შეასრულეს უცხოელი კომპოზიტორის ნაწარმოებები. ასევე რეგულარულად და შთაბეჭდვად წარმოადგინა

მარიონეტული ნომერი ახალქალაქელმა სცენის-მოყვარემ, ქალბატონმა ჟანა დავითიანმა.

ბატონმა ალექსანდრე გრიგალაშვილმა საჯარო სკოლების წარჩინებულ მოსწავლეებს, ცენტრალურ რაიონულ ბიბლიოთეკას და განათლების რესურსცენტრს საჩუქრად გადასცა ახალი ნივთები.

დასასრულს ვთხოვთ ღონისძიების რამდენიმე მონაწილეს და თვით პროექტის კურატორს გაეზარებინა საკუთარი შთაბეჭდილებები:

გივი შამანაშვილი – *მწერალი, მთარგმნელი, საზოგადო მოღვაწე*: ჩემი ბატონო ავთანდილ, რამდენადც ვიცი, რა თქმა უნდა, ეს ჭეშმარიტებაა, ყველა კულტურული ერის უპირველესი

მუსიკალური ნაწილიც, რომელსაც აფორმებს თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის კონსერვატორიის რექტორი ბატონი რეზო კიკნაძე. გარდა ამისა, წარდგინებას ვახდენთ როგორც მოკლემეტრაჟიანი, ასევე სრულმეტრაჟიანი ფილმებისას, რომლებიც გადაღებულია როგორც კულტურის სამინისტროს შეკვეთით, ასევე ქართული კინოცენტრის ხელშეწყობით. ყოველივე ეს ითვალისწინებს ეროვნული უმცირესობების ინტეგრირებას ქართულ კულტურულ სივრცეში. მოგვხსენებთ, უმთავრესი პრობლემა ამ ეტაპზე ქართული ენის არცოდნაა და, შესაბამისად, საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრომ ამ პროექტით



## უკანსივრცე: სხვითი მიცემებით მიყვანილი საქმე გაერთიანებს!



წარმომადგენლები, როცა იწყებენ ქვეყნის წინსვლისათვის ზრუნვას, თუ რა უნდა კეთდებოდეს და რას უნდა მიექცეს ყურადღება, თავდაპირველად ასახელებენ ხოლმე კულტურას. თანამედროვე სამყარო ევოლუციურად კულტურამ შექმნა.

დღევანდელ ღონისძიებაშიც, როგორც არ უნდა გაგვიკვირდეს, მასშტაბებზე არაა ლაპარაკი, სივრცის მარცვალი რომ ჩაიდო და, ე.ი. სიკეთისკენ იღებენ, სწორედ ასეთ მნიშვნელოვან ღონისძიებებს უნდა გავესვა ხაზი და მადლობა ვუთხარათ ყველას, ვინც მონაწილეობა მიიღო, – ეს იქნება კულტურის სამინისტრო, შესაბამისი სახელწოდებით – ერთი მხრივდაც თუ მეორე მხრიდანაც. ჩვენ ორი ქრისტიანი ერთ ვართ და ეს უაზრო უფლის მიერა ბოძებული, ჩვენ არ მოგვიგონია, ქრისტიანობა უფლის ნებით შექმნა, სხვანაირად არც შეიძლებოდა მომხდარიყო და ყოველთვის გვიკვირს, რატომ ვართ უკმაყოფილონი აწყურით. ყველაფერი ხომ ღვთის ნებით ხდება. არ დაგვაკვირდეს, რომ ასეთი სიძნელეები ყველა დროის აწყურს ჰქონია, მაგრამ დაძლიებულა არა მხოლოდ ჩვენი წინაპრების დიდი გმირული ლტოლვა, არამედ უფლის შემწეობით. ამიტომაცაა, რომ განუყოფლად ეს ორი ერთიანობის არ შორდება არასოდეს. იმისათვის რომ ჩვენ, (მცირერიცხოვანი ერები ვართ, სხვაგვარად რომ მოვქცეულიყავით, ამ დიდი ოკეანების მიქცევა-მოქცევაში, ჩვენი ნასახიც არ დარჩებოდა, მაგრამ გადავრჩით. და, იცით, რითი? უპირველესად, ჩვენი ნივთიერებით, კულტურით. ბარბაროსების კლანჭებიდან ყოველთვის თავს ვიხსნიდით, ჩვენ ხომ სხვებს არ ვესხმოდი თავს, ჩვენი ჩვენი სულიერებისა და კულტურის გადარჩენა გვიწოდდა და ამან გადაგვარჩინა. და აი, ერთ-ერთი ასეთი ღონისძიება ჩატარდა არაჩვეულებრივ, ლეთაბრივ ჯავახეთში – ქართული სივრცის ამ ბიბლიურ მხარეში.

მიზნად დაისახა, გარკვეულწილად, ამოავსოს ეს ხარვეზი. კერძოდ, ახალგაზრდების წარმომადგენლების გარდა, ახალგაზრდების წარმომადგენლების გარდა, ახალგაზრდების წარმომადგენლებს ვთავაზობთ – მონაწილეობა მიიღონ დედაქალაქში გამართულ სხვადასხვა, მათთვის საინტერესო, ღონისძიებებში. აქვე ხაზგასმით შევხები ერთ ფაქტსაც: მოგვხსენებთ, ამა წლის 23 აპრილს ვესტუმრეთ მარნეულის მუნიციპალიტეტს, სადაც აღმოვაჩინეთ არაჩვეულებრივი ახალგაზრდები, მათ შორის – ბავშვთა შერეული მუსიკალური ჯგუფის ბავშვებიც, რომლებიც ზეპირად კითხულობენ „ვეფხისტყაოსანს“. რაოდენ გასაკვირიც არ უნდა იყოს, აქვე შევხვდით კორეელ ახალგაზრდასაც, რომელიც ორი წელია ჩამოსულია საქართველოში და საოცრად მოკლე პერიოდში შესანიშნავად დაუფლებია ქართულ ენასა და ლიტერატურას, მანვე ასევე გვაძეგნა, რომ „ვეფხისტყაოსანი“ ითარგმნა კორეულ ენაზე. ეს ჩვენივე მართლაც სიახლეა. ამ შეხვედრის შემდეგ, 19 მაისსთვის, დაიგეგმა მათი თბილისში სტუმრობა, ჩვენი მხრივ, მაქსიმალურად შევეცადეთ ამ ახალგაზრდებისთვის ადგილზე გაგვეცინო ის პროცესები, რომლებიც, დედაქალაქის მასშტაბით, კულტურულ სივრცეში ხორციელდება, – ვესტუმრეთ სამხატვრო აკადემიას, ზაქარია ფალიაშვილის სახელობის თბილისის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრს. შეხვედრის უმთავრესი ამოცანა აგრეთვე იყო სტუმრებისთვის გაგვეცინო ის ბეჭდური გამოცემები, რომლებიც ქართული ნივთის ეროვნული ცენტრის მიერ არის ნათარგმნი მსოფლიოს სხვადასხვა ენაზე, ამყამად კი აქტიურად მიმდინარეობს მუშაობა ქართული ნივთის პოპულარიზაციაზე და მაქსიმალური მზადება გვაქვს ფრანკფურტის ნივთის ბაზრისთვის, რომელიც, როგორც მოგვხსენებთ, 2018 წელს გაიმართება. ცხადია, იგი ყოველწლიურად იმართება, მაგრამ 2018 წელს ჩვენთვის სხვა დატვირთვა აქვს, ვინაიდან ამ წელს საქართველო ძირითადი მასპინძელია ფრანკფურტის ნივთის საერთაშორისო ბაზრობისა.

ალექსანდრე გრიგალაშვილი – *პროექტის მრავალფეროვანი საქართველოს კურატორი*: ეს არის პროექტი, რომელსაც კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო ახორციელებს. უკვე მეორე წელია ამ პროექტის ფარგლებში კულტურულ პროგრამას ვთავაზობთ ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ რეგიონებს, კერძოდ, – შეხვედრებს ცნობილ მწერლებთან, სადაც მათი შემოქმედების გარდა საუბრები იმართება კულტურული დიალოგების გაღრმავებაზე, ხშირ შემთხვევაში, ეთნო-კონფლიქტების მოგვარების საკითხებზეც. ასევე გვაქვს

ვანდელი ღონისძიებაც თავად ნახეთ, რამდენად საჭირო იყო. აქვე არ შეიძლება არ აღინიშნოს ისიც, რომ ეს ღონისძიება თავისებურად შეავსო წიგნი – „მესხური ფოლკლორის“ წარდგინებამ. ვფიქრობ, დამსრულ საზოგადოებამ ამ წიგნის მნიშვნელობა სათანადოდ აღიქვა, რომელიც შარშან, წლის მინურულს, გაზეთ „ლიტერატურული მესხეთის“ რედაქციასთან ერთობლივად გამოვეცი და იმედი მაქვს, რომ შემდგომი ტომებიც ასეთივე დიდი პოპულარობით ისარგებლებენ მოსახლეობის ფართო ფენებში.

მაყვალა გონაშვილი – *საქართველოს მწერალთა კავშირის თანათავმჯდომარე*: ვფიქრობ, ეს პროექტი, რომელიც კულტურის სამინისტროს ეგედიტ ხორციელდება, ძალიან მნიშვნელოვანია იმიტომაც, რომ ამ პატარა საქართველოში, ჩვენდა სამწუხაროდ, წიგნთან დამოკიდებულება და მკითხველების მწერლებთან ცოცხალი ურთიერთობები ძალიან შემცირებულია, მიუხედავად, ჯავახეთში. იგი ხომ მნიშვნელოვანი მხარეა საქართველოსთვის და, ვფიქრობ, მსგავსი ღონისძიებები არ უნდა იყოს ერთჯერადი, არამედ მას უნდა ჰქონდეს სისტემური ხასიათი. ჩვენ, მწერალთა კავშირის წარმომადგენლები, ჩამოვედით იმ წიგნებზე, რომლებიც ბოლო პერიოდში გამოვეცი როგორც ქართულ ენაზე, ასევე თარგმანები სომხურიდან ქართულზე და ქართულიდან – სომხურ-ინგლისურ ენებზე. ესაა მშვენიერი ლიტერატურა, მაგრამ იგი სრულიად არაა საკმარისი დიდი სახელმწიფოებრივი პოლიტიკისთვის. მე მგონია, რომ ამ სფეროში ჩართული უნდა იყოს ერთობლივად რამდენიმე სამინისტრო, ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კი, ალბათ, განათლების სამინისტროს დამოკიდებულება უნდა იყოს. ყველაზე კარგად აქ დაზრდილი ბავშვები მაშინ ისწავლიან ქართულ ენას, თუ სათანადოდ შევუწყობთ ხელს, კერძოდ, კარგი იქნება თუ მათ ზავსულობით საქართველოს რომელიმე კუთხეში წაიყვანონ მოსწავლეთა ბანაკებში, ხოლო თბილისში ბავშვებს აქ ჩამოვიყვანთ და დავასვენებთ. აუცილებელია განსაკუთრებული ზრუნვა ერთიან საქართველოში და იმ ადამიანებზე, რომლებიც ეროვნულ უმცირესობებს წარმოადგენენ. გაუცხოების სინდრომი უნდა მოისპოს! ესაა ერთ-ერთი მაცოცხლებელი მარცვალი, რომელიც უფრო დავგაახლოებს ერთმანეთთან. ჯავახეთი საოცრად თბილი ხალხია, განსაკუთრებულად გვხვდება და ჩვენც მათდამი დიდი სიყვარულით ვართ განმსჭვალელები.

ანაიდა ბოსტანჯიანი – *მწერალი და მთარგმნელი*: ერთი სიტყვით რომ გიპასუხოთ, ეს ღონისძიება ჩემთვის ძალიან ძვირფასია იმიტომ, რომ იგი ეხება სომხურ-ქართულ ლიტერატურულ ურთიერთობებს. ეს ურთიერთობები მთელი ჩემი ცხოვრების, არ ვმალავ, ძირითადი მიმართულებაა, – დიდ დედაბები ძალას ვგრძნობ მასში. მე განსაკუთრებით მიყვარს ქართული ლიტერატურა, ვაფასებ მას, 20 წელზე მეტია ვითარდები და ყოველთვის, თარგმანზე მუშაობის დროს, ვგრძნობ, – კიდევ უფრო ვიზრდები ამ ლიტერატურისთვის. ეს, ალბათ, იმიტომაცაა ასე, რომ, საეროდ, მიყვარს ქართული სიტყვა, ქართული კულტურა, მთლიანად ქართული! ზოგი ამბობს, – არ არსებობს ორი სამშობლო, სამშობლო ერთია. მე კი ვუბნებ, ვუხსნი, რომ ასე არაა. ადამიანი, სადაც დაბადებულია, სადაც ცხოვრობს კარგად და ღელავს გრძნობს თავს, ეს მისი სამშობლოა. მე ორი ერთი მსახური ვარ! ეს იმას ნიშნავს, რომ ორი სამშობლო მაქვს, – საქართველო და სომხეთი; სომხეთი და საქართველო! ძალიან თანამედ ვგრძნობ თავს, რომ მეც ვმონაწილეობ ანალოგიურ ღონისძიებებში. ბევრი ჩემი თარგმნილი წიგნი აწყვია ამ საგამოფენო დაფაზეც და მეამაყება ეს. იმასაც ვიტყვი, ჩვენ კიდევ უფრო უნდა თავადრმავე ჩვენი მეგობრობა, კიდევ მრავალი წიგნი უნდა გამოვეცი, რომ ჩვენი კულტურული ურთიერთობები განვამტკიცოთ და ერთმანეთის სიყვარული გავითავსოთ. ჩვენ, როგორც მწერლებმა, გავლენა უნდა მოვახდინოთ მოსახლეობაზე. მწერლის მთავარი დანიშნულებაა ხომ ესაა.

არტემ მელქონიანი – *მწერლისა და საქართველო თანასწორობის სახელმწიფო მინისტრის წარმომადგენელი სამცხე-ჯავახეთში*: ძალიან კარგად ორგანიზებული ღონისძიება იყო. მადლობა ყველა მონაწილეს, რომლებიც დადეს მობრძანდნენ და თავიანთი სიტყვა თქვეს. ასეთი ღონისძიებების გამართვა აუცილებელია და საჭირო რეგიონებისთვის, მით უფრო, თვით ახალქალაქისთვის, სადაც ეთნიკური უმცირესობები – სომხები ცხოვრობენ, რომლებსაც ქართულ საზოგადოებაში კულტურული ინტეგრაციისთვის საუკეთესო შესაძლებლობა ეძლევათ. მისასალმებელი იყო ისიც, რომ ახალქალაქში მოხდა „მესხური ფოლკლორის“ წარდგინება, სადაც ძალზე ბევრი საინტერესო მასალა შესული ჯავახეთიდან. თუ მსგავსი ღონისძიებები სისტემურ ხასიათს მიიღებს, ეს უმნიშვნელოვანესი იქნება რეგიონის მოსახლეობისთვის. მიმართა, რომ ასეთივე შეხვედრები უნდა ჩატარდეს ნინო-მინდამიცი, ასპინძაშიც, ახალციხეშიც და ყველა ღონე უნდა ვიხმაროთ, რათა მოსახლეობის ფართო ფენები ჩვერით როგორც ქართველთა, ასევე სომხთა მხრიდანაც. ასეთი ღონისძიებების განსაკუთრებით უნდა დაგვიტანოს სოფლის მოსახლეობა და მის მომზადებაში აუცილებელია მონაწილეობდეს მუნიციპალური სამსახურები.

# „ვეფხისტყაოსნის“ ზეპირადმცოდნეთა კონკურსი

ძნელია ერთი თემის ორი გაზეთისთვის სხვადასხვანაირად წერა, მაგრამ შევეცდები, უდიდესი პასუხისმგებლობით აღვასრულო დაკისრებული მისია და წარმოვანირო 22 და 23 ივნისს მესხეთში განვითარებული მოვლენები, როგორც თანამედროვეობის დასტური შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსნის“ უკვდავებისა.

– რადგან „ლიტერატურული მესხეთი“, როგორც რედაქტორმა ავთანდილ ბერიძემ მითხრა, – ჩვენი, ე. ი. „უნივერსიტეტული“ გაზეთიცაა, მისთვის მასალის მომზადებაზე უარი არ მითქვამს, თუმცა, მანამდე ვფიქრობდი, რომ უფროსი გვეყავა მხოლოდ ერთი ბერიძე. ცხადია, საუბარია პროფესორ მერაბ ბერიძეზე, სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორზე, რომელმაც, გარდა ჩვენი ხელმძღვანელობისა, ისიც იტვირთა, საფუძველი ჩაეყარა „ვეფხისტყაოსნის“ ზეპირადმცოდნეთა კონკურსის გამართვას უნივერსიტეტში. წელს ეს კონკურსი სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულ სააგენტოს ორგანიზებით ჩატარდა.

„ვეფხისტყაოსნის“ ზეპირად ცოდნაში ერთმანეთს საქართველოს სხვადასხვა მხარის 9 მონაწილე გაეჯიბრა. უნივერსიტეტის პროფესორებისა და საპატიო სტუმრებისგან დაკომპლექტებულმა ჟიურიმ გამოავლინა 3 გამარჯვებული. III ადგილი და 600 ლარი ერგო მანანა ნესუაშვილს, ხოლო I ადგილი და 900-900 ლარი ანრო ცირეკიძემ და თეიმურაზ ხუციშვილმა გაიზიარეს. დაჯილდოების ცერემონია გაიმართა მეორე დღეს ახალციხის ციხის ციტადელის საკონფერენციო დარბაზში, პირველ დღეს კი კონკურსის ყველა მონაწილე დასაჩუქრდა.

თითოეული გამომსვლელის მიერ ნათქვამი სიტყვა, მთელი კონკურსი, მონაწილეთა შეფასებები, ყველაფერი მნიშვნელოვანი იყო, თუმცა განსაკუთრებით რაზე გავამახვილო ყურადღება, მაინც მიჭირს. იქნებ მკითხველს სტატისტიკა



არ მოსწონს და, იქნებ რუსთაველის სიდიადის აღმნიშვნელი ფრაზები ურჩევნია? აქ გამოსავალი გაზეთის რედაქტორის ავთანდილ ბერიძის სიტყვის მოხმობაშია: „ეს კონკურსი უმნიშვნელოვანესია და კარგი იქნებოდა, ჩატარებულიყო უფრო ფართო მასშტაბით, რესპუბლიკურ დონეზე. დიდებული ღონისძიებაა უპირველესად იმიტომ, რომ ჩვენ მისწავლე-ახალგაზრდობას უნდა შევავაროთ რუსთაველი. რაც აქ კეთდება, მისაბამი უნდა იყოს. ახალგაზრდამ უნდა დაინახოს, წინა თაობები როგორი რუდუნებით ესწრაფვოდნენ, იზეპირებდნენ „ვეფხისტყაოსანს“, იქნებ მართლაც ამ ზეპირად ცოდნამ მოიტანა იგი აქამდე. ეს პრინციპი რომ არ ყოფილიყო, საინტერესოა, როგორი იქნებოდა „ვეფხისტყაოსანი“? მოსწავლე-ახალგაზრდობა, ჩვენდა სამწუხაროდ, დღეს ნაკლებადანა დაინტერესებული ლიტერატურით, მით უფრო, კლასიკით. მაგლობა ღმერთს, რომ ბატონი მერაბი სამი წელია ატარებს ანალოგიურ კონკურსებს და, ალბათ, მისი მასშტაბები მომავალში უფრო გაიზარდება. შარშან ხუთი მონაწილე იყო, წელს – ცხრა. ეს უკვე ბევრს ნიშნავს.“

რაც შეეხება უშუალოდ ღონისძიებას, ის უნივერსიტეტის განათლების პრეზიდენტის და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანის, ფსიქოლოგ გულიკო ბეჟაურის მიჰყავდა. მან სცენაზე სიტყვის სათქმელად მოუხმო უნივერსიტეტის რექტორსა და ჟიურის ხელმძღვანელს პროფესორ მერაბ ბერიძეს, რომელმაც ვრცლად და დეტალურად ისაუბრა ამ ღონისძიების მნიშვნელობაზე. თავიანთ გამოხატვაში მაგლობა გადაუხადეს მის ორგანიზატორსა და სულისჩამდგმელს „ვეფხისტყაოსნის“ ზეპირადმცოდნეთა კონკურსების დამკვიდრებაში საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს გენერალური დირექტორის მოადგილემ დავით ლომიძემ; რუსთაველის საზოგადოების თავმჯდომარემ დავით შემოქმედელმა; საქართველოს სახელმწიფო პრემიისა და ფოლკლორის ეროვნული პრემიის ლაურეატმა, სახალხო მთქმელმა, 1966 წლის შოთაობის ერთ-ერთმა ორგანიზატორმა მოსე ბეჟაურმა, ქალაქ ახალციხის მერის მოადგილემ ზაზა თამარაშვილმა, ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ დავით ლომიძემ, საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის ეროვნული სააგენტოს არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის განყოფილების ხელმძღვანელმა მაკა თაქთაქიშვილმა. ჟიურის შემადგენლობაში მონაწილეთა შორის იყვნენ პროფესორი პარმენ მარგველაშვილი და კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის მრჩეველი გოგი გვაგაჭორი. მეორე დღეს დაჯილდოების ცერემონიალს საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს გენერალური დირექტორი ნიკოლოზ ანთიძეც შემოუერთდა. მათ გამოსვლებს და ღონისძიების ვრცელ მიმოხილვას იხილავთ გაზეთ „მესხეთის“ უნივერსიტეტში.

ნიკო ზედელაშვილი


## რამაზ ბერაძე

თანამედროვე ქართულ მწერლობას მოულოდნელად გამოაკლდა ღირსეული მამულიშვილი, მწერალი და პოეტი რამაზ ბერაძე.

რამაზ ალფესის ძე ბერაძე დაიბადა თბილისში 1957 წლის 15 აპრილს, დაამთავრა თბილისის 112-ე საშუალო სკოლა, შემდეგ სწავლა განაგრძო ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში გეოლოგიის ფაკულტეტზე, რომელიც წარჩინებით დაამთავრა 1980 წელს. მუშაობდა სხვადასხვა საპასუხისმგებლო თანამდებობებზე, პარალელურად ეწეოდა ლიტერატურულ მოღვაწეობას – სისტემატურად აქვეყნებდა თავის ლექსებსა და პროზაულ ნაწარმოებებს ქართულ სალიტერატურო ჟურნალ-გაზეთებში. გამოცემული აქვს ორი პროზაული და ლექსების რამდენიმე კრებული.

რამაზ ბერაძეს ასევე ჰქონდა წარმატებული კარიერა სპორტში. კერძოდ, იყო რამაზში საბჭოთა კავშირის ახალგაზრდული ნაკრების წევრი. აღსანიშნავია, რომ მისი თაოსნობით ქალაქ ფოთში ჩამოყალიბდა სარაგო კლუბი.

რამაზ ბერაძე, როგორც მწერალი და პოეტი, სპორტსმენი, გამოირჩეოდა თავისი პრინციპულობით, საქმისადმი ერთგული დამოკიდებულებით, ლიტერატურულ ნრევში სარგებლობდა გამორჩეული ავტორიტეტითა და სიყვარულით; იყო უანგარო, უაღრესად გულისხმიანი, მეგობრებზე მზრუნველი, პატიოსანი და მისაბამი ადამიანი, ჰქონდა ამაღ-



ლებული სამართლიანობის პრინციპები. მისი შემოქმედება გამოირჩევა განსაკუთრებული პატრიოტიზმითა და ღრმა ფილოსოფიური აზროვნებით. ყურადღებას იქცევდა თავისი თავმდაბლობითა და გულისხმიერებით, მუდამ მეგობრებზე ზრუნვით. ამიტომ არის, რომ მისმა მოულოდნელმა გარდაცვალებამ დიდი ტკივილი მიაყენა არა მარტო ნაცნობებსა და მეგობრებს, არამედ მათაც, ვინც მას სულ ოდნავ მაინც იცნობდა. გვჯერა, რომ მისი ხსოვნა მარად დარჩება მისი მეგობრებისა და ახლობლების გულში.

მწერალთა და მეგობართა ჯგუფი:

*ბარინა თეატოშანიძე, დალი ყარაულაშვილი, დალი პენაელია, ქეთი დოლიძე, ელდინო სულარაძე, თამარ ლომიძე, ეპა კვიციანი, ეთარ ზარიძე, ვაჟა ოთარაშვილი, ერაკლე სალუციანი, გალათიარ არაბული, დავით შამოძეაძე, მირაბ სადლოპალაშვილი, რევაზ აზვიანიძე, ამირან ჯგუშაძე, ავთანდილ ბერიძე, ავთანდილ იბანიძე, რაჭო (ვალიანი) აბაშია, ნარო ოქოლაძე, გიგა ღიასაშიაძე, მირაბ მეფარიშვილი, გიორგი ჩიტოშვილი, ზურაბ ჩხაიძე, ავთანდილ ჩაჩუა, გელა ღვინიაშვილი, ოთარ ბიბიაშვილი, ანჟო პიპილაშვილი, სპარტაკ ტყეშელაშვილი, გიორგი ავალიანი, სოსო ბალანია, კარლო დვალისი, გუსო ოდიშარია, ავთანდილ დარსაძე-ლია, ვანო ტლაშაძე, ლევან მჭადლიშვილი, მურთაზ ჯოგლიძე, ავთანდილ გოგლიძე, ვაჟა გურამ ოთხოშოვი, გიორგი აბიძე.*

## „აქამდამდე მწეხრე ბრძოლა“

ადამიანები ამქვეყნად მოდიან და მიდიან, ყველას თავისი ცხოვრების გზა აქვს გასაგვლელი, თუმცა, ზოგისთვის იგი ძალზე გრძელია, ზოგისთვის – თვალის ერთი დახამხამებაც კი არაა. ისეთებიც არიან, რომელთაც ცხოვრება ამ უკიდევანო სამყაროს ყველა წერტილიდან თვალით საცემი და ახლობელია.

შენ, ჩვენი რამაზ, შენი ახლო მეგობრებისთვის, შენი კაცობით, ადამიანობით, ბუნებით, ჭკუით, გონებით, მოყვასის სიყვარულით, ყოველთვის იყავი ყურადღების ცენტრში და, მიუხედავად იმისა, რომ არაფერი მატერიალური სიმდიდრე არ გეხება, იმ მცირედიტაც კმაყოფილდებოდი, რაც ღმერთმა გიბოძა, – ყველას დახმარებულა ხელს უწვდომი და სხვისი სიხარულიც ხელს უწვდომი სიხარულია მიგაჩნდა. ხშირად მაშველი რგოლის როლსაც ასრულებდი და ამაყად შეგეძლო ლიტერატურულ თუ შემოქმედებით საზოგადოებაში თამამად დგომა, რომელიც სიცოცხლის ხალისს გმატებდა. თუმცა, რა სევდას დაატარებდი იმ ბრეგ ტანის პანანინა, უღალატო გულით, არავინ იცის. გრძობების მოთოკვაც შეგეძლო და, საჭიროების შემთხვევაში, ხმამაღლა თქმაც, მაგრამ რამდენი შეუძლია ადამიანის გულს? როცა აკეისარს კეისრის“ ნილ არ ეგების, მდაბიო მეხობტეთა, უუნა-

როთა და ამპარტავანთა სულისშემძვრელი პარპაში, გულს უკლავს მაინც ადამიანს.

ალბათ, ამიტომ გაექციე, ჩვენი რამაზ, ამქვეყნიურ ყოფიერებას, რომელიც, ბოლო ხანს, სატანჯველად გექცა. თუმცა, ვინ იცის, რამდენი დაგრჩა კიდევ სათქმელი, რომელიც მოსვენებას გიკარგავდა და ბოლომდე ვერ დაიხარჯე, გინდოდა ლექსად დაღვრილიყავი, შენს რომანებში საკუთარი თავი გაეცოცხლებინა, საკუთარი პროტოტიპი შეგექმნა... ეძიებდი, ეძიებდი, მაგრამ... განა წუთისოფლის გაუხარებია ვინმე?

თითქოს შენი საყვარელი ძმის ბედი გაიზიარე, სრულიად ახალგაზრდა ნახვდი ამ ქვეყნიდან და სატანჯველად, სამარადისო სასუფეველში, თქვენი გადასვლის გამო, ამქვეყნად ცრემლად დაღვრილი დედა დატოვეთ, დედა, რომლის სიცოცხლაც ბევრზე ჩამოკიდებული სულია, რომელსაც, ვინ იცის, როდის დაუბერავს ქარი და შევებას აგრძნობინებს... ალბათ, ასე არ უნდა ვამბობდეთ, მაგრამ მისი განტანჯული სიცოცხლე უთქვენოდ რაღაა ჩვენი რამაზ!...

შენი საყვარელი ძმის, ნუგზარის – „ცახურის“ გვერდით დაიდე ბინა, მის გვერდით ჰპოვე სამუდამო განსასვენებელი... ის ხომ ყოველთვის ზეციური საქართველოდანაც ძალას გმატებდა,

გეამაყებოდა, რომ მისი უმცროსი ძმა იყავი... ორივე პოეტებად დაბადებული და პოეტებად წასულები ამა ქვეყნიდან. როგორ გიყვარდა ხოლმე მისი ლექსის სტიქიონების გამეორება: „... აუდექი ძმებო, ნამდვილად დროა, სხვა რომ არ იყოს მელიან ანი, ადამიანი მინაზე ბრბოა, მეც, ზეცაში იწყება კაცი“. მართლაც, რა დიდებულადაა ნათქვამი. ასეა, ჩვენი რამაზ, შენც ხომ ხშირად ვითქვამს – ადამიანმა შეიძლება ტომები დაწეროს, მაგრამ ერთმა პოეტურად ნათქვამმა სიტყვამ, მილიონების გულები დაიპყროს.

ჭეშმარიტი პოეზიის შეფასება შეგეძლო, რამაზ, იმიტომ, რომ ნაღდი პოეტი იყავი და მეგობარ-ახლობელთა გულებშიც ასეთივედ დარჩები, მარად...

შენი სხეულით მშობლიური ქართული მინა გააპოხიერე, მაგრამ შენი სული ახლა ზეცაშია, კაცად აღვლენილი და იქიდან დაგყურებს იმ იმედით, რომ ქვეყნიერება როგორმე დაწყნარდება და ადამიანებს მართლა წუთის სოფელში მიეცემათ ცოტა ხანს მაინც მშვიდი ცხოვრებისა და არსებობის საშუალება, რამეთუ, ბოლოს, ყველა მაგ სოფლის შვილები ვართ და გასაყოფიც არაფერი გვექვება.

ავთანდილ ბერიძე

<p><b>რამაზ ბერაძეს</b></p> <p>(დაინერა დასაფლავების დღეს - 9 ივნისს)</p> <p>ლამაზ დღეებს გვპირდებოდი რამაზ, ნახვდი და დაგვიტოვე სევდა, ვერა პასუხს მოუძებნი ამას, – სამარესთან აქვითინე დედა.</p> <p>წრფელი იყავ და ნათელის გნამდა, სიბინძურეს ჩამოსხენი რიდე, უგვანოთა საქციელი გჭამდა, მათთან ყოფნას ასე განერიდე.</p> <p>მოგმართავდნენ კრძალვით და თქვენობით ალარ მინდა ლექსი გავამაფრო, ეს სამყარო ახლა უშენობით, არსით გახდა ისე უარაფრო.</p> <p><b>რევაზ აზვიანიძე</b></p>	<p><b>ძმის რამაზ ბერაძეს</b></p> <p>გზა მზენაბზარი მაგემე, მწარ მანილადე საგვამე, დამისამარე ბავთ ვნებ, – გული ბინდკრულვით გამგვარე.</p> <p>ცრემლი, კაცებრი საცაო, ცამც დაგანვიმა – გაკურცხლა, გაწუთისოფლით სამწაროს, ქმნილს გაუცაღდი ნაფურცლარს.</p> <p>ბედი ნაფეთი, კვამკვეთა არსაკადრისად ცერაობს, გამოგვარიდე ავბნელადს გვეხიდე „ბედისმწერალო“!</p> <p><b>მერაბ სადლოპალაშვილი</b></p>	<p>გაზეთის – „ლიტერატურული მესხეთის“ რედაქცია ღრმა მწუხარებით იუნყება, რომ მოულოდნელად გარდაიცვალა ცნობილი ქართველი პოეტი და მწერალი, გაზეთ „ლიტერატურული მესხეთის“ სარედაქციო საბჭოს წევრი</p> <p><b>რამაზ ალფესის ძე ბერაძე</b></p> <p>და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.</p>
---	--	---

# ახალგაზრდა აჭარელი პოეტები ბორჯომში

ახალგაზრდა ბორჯომის კულტურისა და ხელოვნების ცენტრის სააქტო დარბაზი ცნობილ ახალგაზრდა აჭარელ პოეტებს – როინ აბუსელიძეს, გენრი დოლიძესა და არჩილ ბერიძეს დაეთმო.



სალამოს ინიციატორი ბორჯომის საბიბლიოთეკო გაერთიანების დირექტორი ქალბატონი ნაირა ალხაზიშვილი იყო, რომელმაც თავის კოლექტივთან ერთად, უზრუნველყო ამ შეხვედრის მაღალ დონეზე ჩატარება.

საყოველთაოდ ცნობილია ბორჯომის, როგორც საკურორტო ქალაქის პოტენციური შესაძლებლობები მასობრივი ღონისძიებების ჩატარებაში, რომელიც ანდამატივით იზიდავს არა მარტო საქართველოს სხვადასხვა მხრიდან შემოქმედებით ინტელიგენციას, არამედ იგი არაერთხელ გამხდარა მსოფლიოს მრავალი ქვეყნის დიდ შემოქმედთა საპატიო მას-

პინძელიც. თითოეული დაგეგმილი ღონისძიება ხომ, თავისთავად, დიდ მხარდაჭერასა და მომზადებას მოითხოვს. ამიტომ არც ამ შეხვედრას აკლდა თავისი ხიზლი. მის მომზადებას კი წინ უსწრებდა ღონისძიების ორგანიზატორთა – ქალბატონ ნაირა ალხაზიშვილისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლი-

კის გამომცემლობა „ლამპარის“ დირექტორის ბატონ დავით ბარამიძის შეთანხმება, რამაც შესაბამისი ნაყოფი გამოიღო. მართლაც დაუვიწყარი ლიტერატურული საღამო გაიმართა. ახალგაზრდა პოეტებმა გააცნეს თავიანთი შემოქმედების როგორც ადრინდელი, ასევე

უახლოეს პერიოდში შექმნილი ლექსები, რომელნიც მთლიანად გაუღენთილნი იყვნენ, უპირველესად, პატრიოტული სულისკვეთებით. მათ ასევე ნაიკითხეს თავიანთი ლირიული ლექსების საუკეთესო ნიმუშები და ხანგრძლივი აპლოდისმენტებიც დაიმსახურეს.

– ჩვენდა სამწუხაროდ, აჭარა გეოპოლიტიკური მდგომარეობისა და ქვეყნის ავბედითი ისტორიის გამო, დღესაც, მეზობელ თურქეთთან უფრო ახლოს ვართ, ვიდრე საქართველოს სხვა ქალაქებთან, – ბრძანა პოეტმა გენრი დოლიძემ და ეს გულისწუხილი სამშობლოს საზღვრებს მიღმა დარჩენილი „გურჯისტანელი“ ქართველებსადმი მიძღვნილი ლექსით გამოხატა, რამაც მსმენელებზე განსაკუთრებული შთაბეჭდილება მოახდინა.

აჭარელი ახალგაზრდა პოეტებისადმი მადლიერების გამოხატვის მიზნით თავიანთი მო-

საზრებები გამოთქვეს მასპინძელთა მხრიდან ბორჯომელმა ბესარიონ ფოფხაძემ, პოეტებმა იზოლდა სარქისიანმა და მარიზა ჯიქიამ, ხოლო ბორჯომის მე-5 საჯარო სკოლის მე-5 კლასის მოსწავლემ ნინო ჯიქიამ მხატვრულად ნაიკითხა როინ აბუსელიძის „ფარული ვედრება“.

შეხვედრის შემდეგ მოენყო მონვეული პოეტების წიგნების გამოფენა-გაყიდვა.

იზა იანვარაშვილი

**შეცდომის გასწორება**  
ჩვენი გაზეთის წინა ნომერში გამოქვეყნებულ სტატიაში – „ქართველ ებრაელთა მეოხებით ამ ენამ იწყო აღორძინება“, დაკაბადონების დროს გამოჩნა ავტორი გვარი – კახაბერ ჯაყელი, რაზედაც რედაქცია დიდ ბოდიშს უხდის მას.

## სამსხა-ჯაჟახეთში გავერცხვით თურქულენოვანი ანდაზები

(გაგრძელება. დასაწყ. იხ. №3-6, 2016 წ.)

**ი**  
იანვარში მარწყვი მოინდომო. იყიდი კარგი, გაყიდი – კარგი, საქმე თუ არა გქონდეს რა, დაწე კარზე.

**კ**  
კალმახის ტანი და ლურჯას თავი. კალოს მალღობზე ნუ გაშლი, ქარი წაიღებსო და დაბლობში – წყალიო.  
კარი მაგრად დაკეტე და მეზობელს ქურდად ნუ დაიჭერო. კარგ შვილს მამის ქონება არ სჭირდებაო.  
კარგი ცხენი ქერს მოიმატებს, ცუდი – მათრახსაო.  
კაცი ორმოცი წლის ასაკში რომ საზის დაკვრას ისწავლის, საიქიოში დაუკრავსო.  
კაცმა თუ შესაფერისი მეუღლე ვერ მონახა, ცხოვრებას ახვებით გაატარებსო.  
კედელი რომ ჩამოინგრევა, მტვერი დადგებაო.  
კედელს ყური აქვსო.  
კედლიდან ჩამოვარდნილმა იცის თუ რა მოსდევს ჩამოვარდნასაო.

კევს ყველა ლეჭავს, მაგრამ ქურთის ქალი ათაფლიანებსო. კვერცხიდან გამოჩეკილი ნაჭუჭს დაინუნებსო.  
კიდეც ის თასი და ის სავარცხელიო.  
კორიკა ჭურჭელი ადგილზე ვერ გაჩერდებაო.  
კოვით აგროვებს და ციცხვით ანაწილებსო.

**ლ**  
ლამაზი ის არის, ვინც მე მიყვარსო.  
ლამაზი ის არის, ვინც გულს უყვარსო.  
ლალა წასულა და სამყოფელი დარჩენილაო (ე.ი. უკაცრიელი გამხდარაო).  
ლამაზის მოხედვა სასიამოვნოაო.  
ლამაზის საუბარი თაფლზე ტკბილიაო.  
ლომი რომ დაბერდება, მელა ყურიდან დაითრევსო.  
ლომის ხვალი და ძუ არ არსებობსო (ე.ი. თანასწორიაო).  
ლურჯა ცხენო, ჩემი ხარ და შენი ბევრი ნაკლი ვიციო.  
ლურსმნის ხათილით\* შემცველი ღმერთი არსებობსო.  
ლურჯა ცხენი დარახტულიც იცნობა და დაურახტავიცაო.

*\*მჭედლის მიერ დამზადებული დიდი ლურსმანი*

**მ**  
მამა შვილისთვის და შვილიც შვილისთვისო. მამა იწვის შვილისათვის და შვილი კიდეც შვილისათვისო. მანამ წყალი არ ნახო, ფეხებს ნუ აიკაპინებო.  
მამა ერთი ქურდი შევიპყარო.  
– მოიყვანეო,  
– არ მოდისო.  
– დატოვე და წამოდიო.  
– არ მიშვებო.  
მარტში საბძელის სანახევროდ სავაი უნდაო.  
მარტში ნათესი, მარდის (უხვის) ნათესიო.  
მარტი დადგა და დარდიც თან მოჰყვაო.  
მარტიც შევარცხენე და აპრილის ნახევარიცაო.  
მარდს ნამარდის შესაწყნარებელს ნუ გახადიო.  
მაძლარს მშვიერისა რა გაეგებაო  
მაძლარს ნუ გაანძრევ და მშვიერს ნუ ამუშავებო.  
მგელი საყოლად არ გამოგადგებაო.  
მგელს უთხრეს: მწყემსად დაგნიშნეთო. აბა, ჩემი შვილიო? – ისიც შენს თანაშემწედაო.  
ჩაინერა არსენ პარაპატიანამა 1989 წელს, მოგვანოდა ნარცისის კარაპატიანამა (გაგრძელება შემდეგ ნომერში)

### აუღარი პოეზია

#### იოჰანჯანი

ბიოგრაფიული ცნობები იოჰანჯანზე არ მოგვეპოვება. აღორძინების ხანისა და მომდევნო ხანის მწერლობაში ამ სახელით არცერთი პოეტი არ არის ცნობილი.

ჩნდება მხოლოდ ერთი ვარაუდი, ხომ არ არის იგი ის ახალციხელი მოქალაქე, რომელიც არაერთხელ არის მოხსენიებული სამცხე-ჯავახეთის ისტორიულ მუზეუმში და ცულ იოანე ხოჯევანიშვილისეულ ქრონიკებში? ამ დოკუმენტის ძუნწი ცნობების მიხედვით იგი განათლებული პიროვნება ჩანს, რომელსაც მე-18-მე-19 საუკუნეების მიჯნაზე უცხოვრია.

#### მუხამზაზის ხმაზე

ვარდისა მსგავსი სახე თუ რომ სჭვრიტოს ბულბულმან, ბულბულს ვარდი ეყვარება, იცის ყველა სულდგმულმან. სრულობით შეიყვარა ვარდი ბულბულის გულმან, ადრევე მისგნით დამწვარ და სანყლად დადაგულმან.

მამინვე ექმნას ბულბულს ტრფობა, თუ ვარდმაც შეიყვაროს, მასვე ცდილობს ბულბული, გული მისი ვით მოიპაროს. ნადით, უთხარით ბულბულს, სვირინოზით მოიხმაროს, ემუსიკოს ტკბილის ხმითა, ვარდის ახლოს დაემყაროს.

მოდი, ვარდო, შეიბრაღე, ნულარ გინდა ვედრება,

აკმარე ესოდენ, რაც უყავი ყვედრება. იმონევი მარადღე, ბულბული გევედრება, სრულებით, სულით, გულით შენს ხელს დაგვედრება.

#### არ გწყნარულობს...

ადრე ნადი ბულბულო და ნულარ გინდა თქმანი, იმწუხარე, სანყლობით ვარდმოიშალე თმანი. არ იცოდი, საბრალოვ, რაც იყო ვარდის ზენი? მარტო არ ხარ, მტირალი, არიან კიდეც სხვანი...

არც შენ შეგჩრება, ვარდო, ბულბულისა ტანჯვანი, მალე მოვა ივლისი, ვნახო შენიც განსჯანი. სიცოცხლისგან რომ განხმენე, ვნახო შენიც გარჯანი, ამას გეტყვის ბულბულეგრ, მწუხარე იოჰანჯანი.

გადანერა ილია მაისურაძემ 1934 წელს ბრიგოლ მღებრიშვილის რეგულიდან. გაზეთი „წითელი დროშა“ №113, 1977 წელი.

## გაზეთ „ლიტერატურული მესხეთის“ მეოხია ლიანა მანჩხაშვილი

გაზეთ „ლიტერატურული მესხეთის“ ელექტრონული ვერსია შეგიძლიათ იხილოთ შემდეგ მისამართზე: [www.scribd.com](http://www.scribd.com); facebook: ლიტერატურული მესხეთი

**ფიზიკური პირი ავთანდილ ბერიძე**  
**ლაგოქანაშვილი:** სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
**გაზეთი რეგისტრირებულია ასპინძის რაიონის სასამართლოს მიერ 1998 წლის 15 ოქტომბერს. სარეგისტრაციო № 19/4-17**

ქ. თბილისში გაზეთ „ლიტერატურული მესხეთის“ შექმნა შეგიძლიათ თავისუფლების მოედანზე – ალ. პუშკინის ქ. №5-ის წინ, მეტრო „თავისუფლების“ გამოსასვლელთან და საქართველოს რაიონებში – „საქპრესის“ ჯიხურებში

კომპიუტერული უზრუნველყოფა ირმა ჯიშკარიანის

რედაქტორი ავთანდილ ბერიძე  
სარედაქციო საბჭო: მერაბ ბერიძე, დურმიშხან ბერიძე, ვახტანგ ინაური

გაზეთი დაიბეჭდა შ.პ.ს. „საარის“ სტამბაში. მისამართი: ქ. თბილისი, თევდორე მღვდლის 57. ტელ: 2 94-14-32

რედაქციის მისამართი: 0500, დაბა ასპინძა, თამარის ქ. № 3, ტელეფონები: მთავარი რედაქტორის: 599 97 95 24, lit\_meskheta@yahoo.com